# სარბიელი

სპორტული გაზეთი  სამშაბათი 17 მაისი 2005 №108 (2431)  ფასი 50 თეთრი


## ფინალი ხვალისთვის გადაიდო

ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე მატჩი „სტუ ჯეოსელსა“ და „ავიამშენს“ შორის დღეს უნდა გამართულიყო, მაგრამ დინამოელი ვეტერანის, ლევან გულდედავას დაკრძალვის გამო ხვალისთვის გადაიდო.

ამრიგად, მესამე ფინალური დაპირისპირება ხვალ საღამოს, 6 საათზე გაიმართება, ხოლო მესამე ადგილისთვის გადამწყვეტ მატჩში „დინამო“ თსუ-ს იმავე დღეს 15 საათზე შეხვდება.



## ორი ფეხბურთი...

ინტერვიუ პიერლუიჯი კოლინასთან

8



## მახაჩყალური ოქროს ამბავი

გიორგი გოგშელიძემ საქართველოს სახელით იჭიდავა

13

# რევაზ არველაძის პრეს-კონფერენცია

სახელმწიფო ვალდებულია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას დაუჭიროს მხარი — ეს და კიდევ ბევრი სხვა განაცხადა რევაზ არველაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე. პრეზიდენტობის კანდიდატმა კონკურენტებზე არ ისაუბრა, ჩემგან მათ მიმართ კრიტიკას ვერ მოისმენთ, რადგან კორექტულობის მომხრე ვარო. რომელი სუბიექტი წარადგენს არველაძის კანდიდატურას, ამას 19 მაისს შევიტყობთ.

რაც მთავარია, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა წინასაარჩევნო პროგრამა გამოამზეურა — მთავარი მიზანი ეროვნული ნაკრებია, საამისოდ კი საჭიროა ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება და ამის მისაღწევად დაფინანსების პრობლემა არ გვექნებაო. არველაძე არც ბავშვთა ფეხბურთს ივიწყებს და აცხადებს, რომ მის განსავითარებლად დანიიდან სპეციალისტების მოწვევას აპირებს.

მე-2-3 გვერდები



# შესანიშნავი შვიდწლეული

## ვლადიმერ სტეფანია ამერიკაში ნატკენ ფეხს საქართველოში იმკურნალებს



საქართველოს ჯორჯ ბუში ეწვია და მე რომ ჩამოვსულიყავი, რაა გასაკვირი — გუშინ კალათბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ეს სიტყვები ხუმრობით თქვა ვლადიმერ სტეფანიამ, მისი სამშობლოში დაბრუნების რეალური მიზეზი კი ნაოპერაციევი ფეხის მკურნალობა და ნაკრებში თამაში გახლავთ.

სტეფანია შვიდი წელიწადია, საქართველოში არ ყოფილა და ამ ხნის განმავლობაში ამერიკაში ჭედდა თავის საკალათბურთო კარიერას. ბევრს მიაღწია, რაღაცაში ხელიც მოეცარა, მაგრამ როგორც ამბობს, ამბიცია ჯერაც ჭარბად აქვს და მიზნის მისაღწევად ბოლო სამ თვეში სამჯერ ნაოპერაციევი ფეხის განკურნება სჭირდება.

სტეფანია ფეხის მკურნალობის სრულ კურსს თბილისში გაივლის და, სავარაუდოდ, ნაკრების თამაშებამდე გამოჯანმრთელდება. გუშინ ვოვამ ფედერაციაში გული გადაუშალა ჟურნალისტებს, მეთორმეტე გვერდზე წარმოდგენილი ინტერვიუ კი მას პრესკონფერენციამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოვართვით...

# ხმა დილასა და კოლხეთს, უმაღლესი ამერსა და ბორჯომს



ბადრი კეთილაძის ფოტო

**ფეხბურთის** ფედერაციის 11 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებში 26 ხმოსანი იქნება. მანდატები მხოლოდ ფედერაციის სუბიექტებზე განაწილდება — 10 ხმა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებს აქვთ, ამდენივე რეგიონულ ფედერაციებს, თითო-თითო ვეტერანთა კავშირს, პროფლიგას, მინი და ქალთა ფეხბურთის ასოციაციებს, მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციას და ბავშვთა ფეხბურთს ერგებათ. ხმოსან დელეგატთა ვინაობა სუბიექტებმა ფეხბურთის ფედერაციას 25 მაისამდე უნდა აცნობონ, თუმც იქამდე ერთი კითხვა, რომელიც ქომაგს აინტერესებს: რომელი კლუბი ითვლება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესლიგელად, უკვე დაქვეითებული გორის „დილა“ და, ფაქტობრივად, გავარდნილი ფოთის „კოლხეთი“ თუ უმლიერესებში აღზევებული აწ უკვე ყოფილი პირველლიგელები, „ბორჯომი“ და „ამერი“?

სწორედ ამ კითხვით მივმართეთ გუშინ ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიას, ვისი პასუხიც ასეთი იყო:

— ყველაფერი გათვალისწინებულია. არჩევნებისას ხმის უფლება უმაღლესი ლიგის იმ კლუბებს აქვთ, რომლებიც არჩევნების ჩატარების წელს უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ, ანუ მანდატი „დილას“ და უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ მეორე გუნდს ექნებათ. თანაც ხმის უფლების მქონე პირთა ვინაობა სუბიექტებმა 25 მაისამდე ოფიციალურად უნდა გაარკვიონ, ამ დროისთვის კი უმაღლესი ლიგის გათამაშება დამთავრებული არ იქნება.

**კობა ინასარიძე**

# ფერგიუსონს შოთა არ ეთმობა




შოთა არველაძემ შაბათს ბოლოჯერ ითამაშა „აიბროქსზე“ „რეინჯერსის“ მაისურით. „ჩაფრებმა“ 4:1 სძლიეს „მოზერუელს“ და აქედან ორი გოლი ქართველისა იყო. სავსე სტადიონმაც ლამაზი გაცილება მოუწყო არველაძეს, რომელიც 4 სეზონი ემსახურა შოტლანდიურ კლუბს.

შოთას წასვლა კი ძალიან ეწყინა „რეინჯერსისა“ და სქოთთა ნაკრების კაპიტან ბარი ფერგიუსონს: „არველაძესთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. ის მეგობრული და მხიარული ადამიანია და ძალიან მწყინს, რომ „რეინჯერსიდან“ მიდის. არ ვიცი, რა წერია შოთას კონტრაქტში, მაგრამ კარგი იქნება, თუ მას დავიტოვებთ. ის კი ვიცი, რომ ჩვენ ახალი შოთას პოვნა ძალიან გაგვიჭირდება“.

**ილია ნანობაშვილი**




## ნორვეგია

ტიპელიგა. VII ტური
ბრანი 6:2 ლილესტრიომი
ჰამ კამი 0:2 სტარტი
მიოლდე 2:2 ალესუნდი
ოდ გრენლანდი 0:2 ლინი
რუსენბორგი 0:2 ვიკინგი
ტრომსიო 2:2 ბოდიო გლიმტი
ვოლერენგა 2:0 ფრედრიქსტადი
I დივიზიონი. VII ტური
ტონსბერგი 0:1 სტაბეკი
ფოლო 2:1 მოსი
ჰიოდი 1:1 ბრინი
კონგსვინგერი 2:1 ლოვ ჰამი
მანდალი 1:1 პორს გრენლანდი
სკეიდი 1:2 სანდეფიორდი
სოგნდალი 4:2 ჰიონეფოსი
სტრიომსგოდსეტი 3:2 ალტა

## ინგლისი

პირველი ლიგა. პლეი ოფი.
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
ბრენტფორდი 1:2 *შეფილდი* (0:1)

## ბელგია

გადასასვლელი პლეი ოფი.
1/2 ფინალი. I მატჩები
რუზელარე 1:0 ანტვერპენი
ვაასლანდი 0:2 გეელი

## დანია

სუპერლიგა. XXVII ტური
სილკებორგი 0:1 მიდტიულანდი
ორჰუსი 2:1 ჰერფიოლგე
ნორდსიელანდი 0:1 ოლბორგი
ოდენსე 2:1 რანდერსი
ვიბორგი 2:1 ესბიერგი
ბრონდბიუ 5:0 კოპენჰაგენი
I დივიზიონი. XXV ტური
ჰელერუპი 4:1 ბრიონსჰიოი
სკიოლდი 2:1 დალუმი
ფრედერისია 1:2 აკადემისკი
ფრემი 3:1 ნიკიობინგი
ნესტვედი 1:2 კიოგე
იოლსტიკე 1:2 ბ-93 კოპენჰაგენი
ვაილე 2:1 ფრემადი
სიონდერიულანდი 1:0 ჰორსენსი

## შვეიცარია

თასის ფინალი
*ციურიხი* 3:1 ლუცერნი

## იტალია

სერია B. XXXVIII ტური
ტრიესტინა 1:1 ვენეცია

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური
ნანსი 1:0 ლე ავრი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა
XXVI ტური
კრივბასი 1:1 ბორისფენი
ილიჩევეცი 2:1 ჩერნომორეცი
ობოლონი 2:1 არსენალი
ტავრია 0:1 დინამო
ზაკარპატია 1:1 მეტალურგი (დ)
მეტალისტი 0:0 მეტალურგი (ზ)
შახტარი 1:0 ვორსკლა
ვოლინი 1:1 დნიპრო

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი
პირველი ტური
აკრანესი 1:0 პროტური
ფრამი 3:0 ვესტმანაეიარი
ვალიური 3:1 გრინდავიკი
კეფლავიკი 0:3 ჰაფნარფიორდური

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური
ალიანსი 1:2 კტპ
იარო 0:0 ინტერი
მარიეჰამნი 2:0 ლაჰტი
მიუპა 1:1 ჰიკ
ტპ-47 0:1 ტამპერე
ტურკუ 3:1 კუოპიო



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია გამართა. არველაძემ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს და საამისო პროგრამაც გამოამზეურა...

# არველაძემ სახელმწიფოს დემოკრატიისკენ მოუწოდა

— პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს დიდ პატივს ვცემ, მათზე აუგს ჩემგან ვერ გაიგებთ და ყველას კორექტულობისკენ მოვუწოდებ. რაც შეეხება ჩემს პროგრამას, ის არ არის შედევრი და მზად ვარ, შენიშვნები გავითვალისწინო.

— კანდიდატურის წამოყენებამდე ბევრი ვიფიქრე. ამას ამბიციას ვერ დავარქმევდი, ეს უფრო გულწრფელი სურვილია, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს, რაც, პირველ რიგში, სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა მოხდეს.

— მთავარი მიზანი ეროვნული ნაკრებია. ჩვენი უპირველესი გუნდი თავისი საორგანიზაციო შტაბით ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალას უნდა წარმოადგენდეს, ამისათვის ეროვნული ჩემპიონატის დონე უნდა ამაღლდეს, რისი მთავარი პირობაც ინვესტიციებია. სახელმწიფო დახმარების და სათანადო საკანონმდებლო ბაზის გარეშე კი ქართულ კლუბებში სერიოზული ინვესტიციები ვერ ჩაიდება. ბევრს კამათობენ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდაზე. თექვსმეტი კი არა, რატომ ოცი გუნდი არ უნდა იყოს უმაღლეს ლიგაში?! მაგრამ ყველა ეს გუნდი ფინანსურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს და ამ საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია კლუბთა ლიცენზირება.

— კლუბების და მწვრთნელთა ლიცენზირებაში გარდამავალი პერიოდი უნდა დაწესდეს, რის შემდეგაც ულიცენზიოებს საქმიანობის უფლება ჩამოერთმევათ. ვაპირებთ, რომ დანიიდან მოვიწვიოთ სპეციალისტები საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის. ამ სპეციალისტებს უკვე აქვთ განვითარებად ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება. მოკლედ, დიდი ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმ პედესტალისკენ, რასაც ეროვნული ნაკრები ჰქვია.

— აუცილებლად მოვიზიდავთ ფინანსურ სახსრებს ფეხბურთის ფედერაციისთვის. არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც უცხოურ კომპანიებთან დავიჭიროთ საქმე, საქართველოშიც საკმაოდ არიან ისეთი ბიზნესმენები, ამის გაკეთება რომ შეუძლიათ.

— თუ ფედერაციის რომელი სუბიექტი წარადგენს ჩემს კანდიდატურას, ეს 19 მაისს გაცხადდება, როცა ფედერაციაში სათანადო განცხადებას შევიტან.

— ფედერაციის ყრილობაზე მხარდამჭერები მეც მეყოლება. ამდენ ხანს იმიტომ ვყოყმანობდი, რომ ჩემს მხარდამჭერებთან მქონდა კონსულტაციები, ვფიქრობდი ჩემს იდეებზე.

— თუ ფეხბურთი ყველასია და თუ ის დემოკრატიულია, პასუხისმგებლობაც ყველამ უნდა აიღოს — ფედერაციამ, მწვრთნელმა, ფეხბურთელმა, გულშემატკივარმა და სახელმწიფომ — ვფიქრობ, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება. სახელმწიფო ვალდებულია, ამას მხარი დაუჭიროს.

— ჩემმა კანდიდატურამ არ უნდა გამოიწვიოს ქართული საფეხბურთო სამყაროს გახლეჩა. ჩემი მხრიდან ასეთი რამ გამორიცხულია, რაც შეეხება ჩემს გუნდს, ის ყრილობამდე გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის.

**დავით თავართქილაძე**

# კანდიდატის საპრეზიდენტო გრაფიკი

რევაზ არველაძე სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთაგან ჯერჯერობით ერთადერთია, წინასაარჩევნო პროგრამა რომ წარმოადგინა. პროგრამაში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს იურიდიულ საკითხებს. მაგალითად, „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი" და „საქართველოს საგადასახადო კოდექსი" შეუსაბამოა კანონთან „სპორტის შესახებ". კიდევ, არველაძეს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სპორტული ნაგებობები და კომპლექსები განთავისუფლდნენ მიწისა და ქონების გადასახადისგან, შევიდეს შესწორებები კანონში „რეკლამის შესახებ", რათა ლუდისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ ფირმებს შესაძლებლობა მიეცეთ, სპორტის საშუალებითაც აწარმოონ რეკლამირება. არველაძის პროგრამა საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციასაც მოიცავს. არველაძის ერთ-ერთი იდეაა, რომ საქართველოს თასის გათამაშება საყოველთაო გახდეს და მასში მონაწილეობის უფლება სამოყვარულო გუნდებსაც მიეცეთ შესარჩევ ეტაპზე. არველაძემ თავისი პროგრამის თავისებური გრაფიკიც შეადგინა, სადაც ქრონოლოგიურად არის ჩამოყალიბებული, თუ რას და როდის გააკეთებს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში.

## საქართველოში ფეხბურთის აღორძინების და განვითარების პროგრამის ორგანიზაციულ ღონისძიებათა ჩამონათვალი

| ღონისძიების დასახელება | ვადა | მოსალოდნელი შედეგი |
|---|---|---|
| *I. ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის კომპონენტი* | | |
| 1. „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმება, საქართველოს ხელისუფლების, ფეხბურთელთა პროფკავშირისა და სფფ-ს შორის | 2005 წ. IX-XII | ხელშეკრულება საშუალებას მისცემს სფფ-ს დაიცვას ფეხბურთელთა და მწვრთნელთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული და სხვა ინტერესები. ამაღლდება სახელმწიფოს როლი ქართული ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. ეს ხელშეკრულება საგრძნობლად აამაღლებს სფფ-ის ავტორიტეტს საზოგადოებრიობის თვალში და მიმზიდველს გახდის მას ფეხბურთელების, სპეციალისტებისა და პოტენციური სპონსორებისათვის |
| 2. საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა გულშემატკივართა ლიგის, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის, ბიზნესმენთა ფედერაციის, ჟურნალისტთა კავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით | 2005 წ. VII—XII | საბჭო სისტემატურად განიხილავს ქართული ფეხბურთის პრობლემებსა და პერსპექტივებს, მოამზადებს წინადადებებს სფფ-ის ღმასკომისა და [illegible] თვის, მისი შექმნა ალმოფხვრის გაუცხოების შეგრძნებას სფფ-სა და საზოგადოებრიობას შორის |
| 3. „ლობისტური საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მუშა ჯგუფის ჩამოყალიბება საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან ურთიერთობისათვის | 2005 წ. VII—XII | მუშა ჯგუფს საშუალება ექნება, კანონიერ საფუძველზე ლობირება გაუწიოს სფფ-ის წინაშე მდგომი ობიექტური სიძნელეების გადაწყვეტას საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებში |
| 4. კონტრაქტის საფუძველზე იურისტთა და ეკონომისტთა მუშა ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს სფფ-სა და „საზოგადოებრივი საბჭოს" მიერ მოსამზადებლად წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებზე | „ — „ | სპეციალისტებისაგან შემდგარი მუშა ჯგუფის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივები შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ" და ამ ინიციატივებს ექნება სათანადო [illegible] დასაბუთება |
| *II. ფინანსური უზრუნველყოფის კომპონენტი* | | |
| 1. უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატის სავარაუდო ბიუჯეტის შედგენა | 2005-2006 წწ. | სავარაუდო ბიუჯეტი საშუალებას მისცემს სფფ-ს, განსაზღვროს ის ორიენტირები, რომელთა მიღწევაც შექმნის ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარების შესაძლებლობას |
| 2. სხვადასხვა დონის ნაკრები გუნდებისთვის სავარაუდო ბიუჯეტის შედგენა | „ — „ | სავარაუდო ბიუჯეტი საშუალებას მისცემს სფფ-ს, განსაზღვროს ის ორიენტირები, რომელთა მიღწევაც შექმნის ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში ღირსეული მონაწილეობის ფინანსურ საფუძვლებს |
| 3. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება სფფ-ს ფინანსური გაძლიერებისაკენ | „ — „ | გაფორმდება ხელშეკრულება კონკურსის წესით გამოვლენილ სადაზღვევო კომპანიასთან და შეიქმნება საპენსიო სქემა ვეტერანი ფეხბურთელებისათვის „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მომზადდება წინადადებები ეროვნული ლატარიის ჩატარებისათვის პირობითი სახელწოდებით „დაეხმარეთ ქართულ ფეხბურთს" |
| 4. კონკურსის წესით აუდიტორული კომპანიების გამოვლენა და საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდებში სავალდებულო აუდიტის ჩატარება | 2005 წ. VII-XII | სავალდებულო აუდიტის ჩატარება გამოავლენს საფეხბურთო კლუბების რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, შესაძლებლობას მისცემს მათ მოახდინონ [illegible] დაგადაცილებული საბიუჯეტო დავალიანებების რესტრუქტურიზაცია, რის შემდგომ ისინი უფრო მიმზიდველი გახდებიან პოტენციური სპონსორებისათვის |
| 5. მომზადდეს წინადადებები საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ | 2006 წ. | შეიქმნება შესაძლებლობა ფეხბურთში დამატებითი სააქციო კაპიტალის მოზიდვისათვის |
| *III. საინფორმაციო უზრუნველყოფის კომპონენტი* | | |
| 1. ხელშეკრულების გაფორმება სხვადასხვა ტელეკომპანიებთან, მათ შორის საზოგადოებრივ ტელევიზიასთან და რეგიონალურ ტელეკომპანიებთან, აგრეთვე რადიო და ბეჭდვითი პრესის წარმომადგენლებთან, საეთერო დროისა და საგაზეთო ფართის გამოყოფის შესახებ ფეხბურთის პროპაგანდის მიზნებისათვის | 2005 წ. VII—XII | სფფ-ს შეექმნება შესაძლებლობა, გაატაროს საკუთარი პოლიტიკა ფეხბურთის პროპაგანდისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის საქმეში. იგი უფრო მიმზიდველი გახდება პოტენციური სპონსორებისა და გულშემატკივრებისათვის |
| 2. მოლაპარაკების წარმოება უცხოეთის ტელეკომპანიებთან (მაგ. ნტვ-ფუტბოლი და უკრაინის ტელეკომპანიები საქართველოს ჩემპიონატის მატჩების გაშუქებაზე) | 2005-2006 წწ. | ამაღლდება ინტერესი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისადმი, შესაბამისად ამაღლდება ჩემპიონატის დონე |
| 3. საქართველოს ნაკრების მატჩებზე ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვა | 2005-2006 წწ. | სფფ მიიღებს შემოსავლებს თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად |
| *IV. სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფის კომპონენტი* | | |
| 1. პფლ-თან ერთად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ახალი დებულებების შემუშავება | 2005 წ. | პრინციპულად ახალი დებულება, რომელიც უმაღლესი ლიგის დაკომპლექტებისას გაითვალისწინებს გუნდების ლიცენზირების საკითხებს, საშუალებას მოგვცემს ისე დაიგეგმოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომ გუნდებმა მაქსიმალურად შეუმცირდეს ფინანსური პრობლემები, რაც დადებითად აისახება ჩემპიონატის ხარისხზე იმოქმედებს |
| 2. ყველა დონის ეროვნული ნაკრები გუნდების ერთიანი კონცეფციის შემუშავება 2006-2007 წლებისათვის | 2005-2006 წწ. | ერთიანი კონცეფცია საშუალებას მოგვცემს, უზრუნველვყოთ თაობათა მიზანმიმართული და გეგმაზომიერი როტაცია, შევქმნათ ეროვნული ნაკრები გუნდების საკუთარი თამაშის სტილი და ავამაღლოთ მათი საერთაშორისო რეიტინგი |
| 3. ეროვნული ნაკრები გუნდების მოთამაშეებზე სისტემური მონიტორინგის განხორციელება | 2005 წლიდან | სისტემური მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს, გვქონდეს უწყვეტი ინფორმაცია ფეხბურთელების მორალური, ფიზიკური და სპორტული მზადყოფნის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ნაკრები გუნდების შემადგენლობის ოპტიმიზაციას |
| 4. ეროვნული ჩემპიონატის მსაჯების, ფეხბურთელების და მწვრთნელების ყოველწლიური ტესტირება | 2005-2006 წწ. სეზონიდან | ტესტირება (მაგ. მსაჯებისა და ფეხბურთელებისათვის კუპერის ტესტის ჩაბარების, ხოლო მწვრთნელებისთვის ლიცენზიების მოთხოვნა) აამაღლებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ხარისხს |
| 5. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების, მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯებისათვის სხვადასხვა პერსონალური პრიზების დაწესება | 2005-2006 წწ. სეზონიდან | სპონსორებთან მოლაპარაკების შემდგომ ასეთი ფულადი პრიზების დაწესება აამაღლებს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების, მოთამაშეების, მწვრთნელების და მსაჯების მოტივაციას, უფრო საინტერესოს გახდის ყოველ მატჩს |
| 6. სისტემური სემინარების („მასტერ-კლასების") ჩატარება საქართველოს კლუბებში მომუშავე მწვრთნელებისათვის | 2005 წლიდან | „მასტერ-კლასები", რომლებსაც ჩაატარებენ ავტორიტეტული მწვრთნელები, გამოცდილებას შესძენს საქართველოს გუნდებში მომუშავე მწვრთნელთა მთლიანად კონტინგენტს |
| 7. ბავშვთა და მოზარდთა მომზადების სისტემის ჩამოყალიბება და ამ სისტემის დანერგვა | 2006-2007 წწ. | შეიქმნება პირობები ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარებისა და პროფესიული ფეხბურთისთვის კადრების მომზადებისათვის |
| 8. ფიფა-სა და უეფა-ს მოთხოვნათა შესაბამისად, ქალთა ფეხბურთის განვითარების პერსპექტივების შესწავლა | „ — „ | დაკმაყოფილდება ფიფა-ს და უეფა-ს მოთხოვნები ფეხბურთის ეროვნული ფედერაციებისადმი |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

## 33 ტური მიმოხილვა

# სტურუა VS ზოიძე: რეკორდამდე 76 წუთია
## არ ვაზვიადებთ — შეხედეთ 810 წუთს!




გურამ [illegible] ფოტოები

ზვიად სტურუა ირაკლი ზოიძის რეკორდის დამხობას ეშურება

**ფინიშამდე** სამი ტური დარჩა, მაგრამ ვინძლო, ჩემპიონი მანამდეც გაირკვეს. ოთქულიანი ჰანდიკაპი და პლუს ხელსაყრელი კალენდარი — „დინამოს" ერთი ამოსუნთქვაღა დარჩა გაჩემპიონამდე. მომდევნო ტურში კი დინამოელები „ლოკომოტივს" სტუმრობენ და... აქ შევჩერდეთ...

რკინიგზელებმა მიმდინარე სეზონში წაგება ხომ არ იციან და, გარდა ამისა, ზედიზედ მეათე მატჩია, გოლი არ გაუშვიათ. ამ ათიდან ბოლო ცხრაში „ლოკომოტივის" კარში ზვიად სტურუა იდგა. საინტერესოა, არა? აგერ, უკვე 810 წუთია, სტურუა მშრალად ინახავს კარს და საქართველოს ჩემპიონატის რეკორდამდე 76 წუთიღა დარჩენია.

მოქმედ რეკორდს კი ირაკლი ზოიძე ფლობს. „დინამოს" გოლკიპერმა 2002 წლის 31 მარტიდან 18 მაისამდე 9 მშრალი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ მეათეში, 76-ე წუთზე გაუშვა გოლი ქუთაისის „ტორპედოსგან" — აბა, როგორ არ გეხსომებათ ის მატჩი: სეზონის ბოლო ტური იყო და „ტორპედომ" მალხაზ ასათიანის მიერ გატანილი პენალტით იზეიმა ჩემპიონობა.

ასეა თუ ისე, ზოიძის რეკორდი 886 წუთია...

ღმერთო, რამდენი დამთხვევაა: ხვალ ხომ სწორედ ზოიძის „დინამო" ხვდება სტურუას „ლოკომოტივს". დრამა ის იქნება, 75-ე წუთზე რკინიგზელთა კარში პენალტი რომ დაიდოს და ირაკლიმ გაიტანოს, თუმცა ხუმრობა იქით იყოს და, სტურუას მართლაც ვეფხვივით გააფთრება მოუწევს რეკორდის დასამხობად — „დინამოს" ხომ ჯერჯერობით ჩემპიონატის მთავარმეგოლე ლევან მელქაძე ჰყავს...

კარგ მეკარეს რეკლამა არ უნდა სჭირდებოდეს და ზედმეტს არც ჩვენ ვიტყვით: მარტო რეკორდში არაა საქმე, უბრალოდ მიკროსკოპი აღარაა საჭირო, ზვიად სტურუას შესაშური გარჯა რომ დაინახო. ბოლო წლებია, სტურუა საქართველოში საუკეთესოთაგანია და, რაც მთავარია, ძალიან სტაბილურია. არც გვახსენდება, ზვიადს „არგასაშვები გოლი" გაეშვას და გუნდი დაელალატებინოს.

ცალკე სალაპარაკოა სტურუას პიროვნული თვისებები: მეკარეებს საერთოდ განსაკუთრებულად ემოციურ ხალხად იცნობენ, მაგრამ ზვიადისგან ლანძღვა-გინებაზე რომ არაფერი ვთქვათ, „ჩამოეთრიე", „მანდ რა ჯანდაბას აკეთებ" და მისთანებიც კი არ გვსმენია.

რას იზამ, ვიღაც-ვიღაცეებს თურმე ზრდილობიანობა და აღზრდილობაც აღიზიანებს.

რად დაგვჭირდა ამდენი ლაპარაკი? იმად, რომ სტურუას ჯერ ერთხელაც არ ჩაუცვამს ეროვნული ნაკრების ფორმა. არადა, თავად ზვიადი სწორედ ალენ ჟირესის გუნდში მოხვედრის მიზნით გადავიდა „ლოკომოტივში", როცა „ზესტაფონი" უფრო სარფიან პირობებს სთავაზობდა — მაინც თბილისია, აქ უფრო დამაკვირდებიან და ნაკრების კარი გამეღებაო. ახლა ბევრი იმასაც იტყვის, დიდი ამბავი, საქართველოს უბადრუკ ჩემპიონატში თუ ცხრა თამაშში გოლი არ გაუშვიაო, მაგრამ ისიცაა, რომ ეროვნული ნაკრების მოთამაშეები ციდან არ ჩამოფრენილან, ყველამ აქ დაიწყო კარიერა და აქ დაღვინდა.

სულ მალე ალენ ჟირესი ალბანეთში წასაყვან შემადგენლობას დაასახელებს და ვნახოთ, იმედერად თუ მაინც ენდობა სტურუას. თუმც მუსიე ალენზე მეტად ეს ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ თამაზ გაბელიას პრეროგატივაა.

მანამდე კი რეკორდის მოლოდინში — ხვალ თუ ზვიადი 77 წუთს გაძლებს...

**ილია ნანობაშვილი**

### სიმბოლური ნაკრები

- მიხეილ ბოზოხიძე — ლოკომოტივი
- გოგი ფიფია — თბილისი
- ნუკრი მანჩხავა — ლოკომოტივი
- კახა მახარაძე — დინამო
- ლაშა ნოზაძე — დინამო
- დავით ბოლქვაძე — ტორპედო
- სევასტი თოდუა — ზესტაფონი
- რევაზ ძმოკლიძე — თბილისი
- დავით იმედაშვილი — ვიტ ჯორჯია
- რონ ონიანი — ლოკომოტივი
- სოსო გრიშიკაშვილი — თბილისი

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 33 | 21 | 5 | 7 | 67:27 | 68 |
| ტორპედო | 33 | 18 | 10 | 5 | 52:27 | 64 |
| თბილისი | 33 | 19 | 6 | 8 | 54:35 | 63 |
| ლოკომოტივი | 33 | 16 | 13 | 4 | 40:19 | 61 |
| ზესტაფონი | 33 | 15 | 5 | 13 | 34:43 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 33 | 12 | 9 | 12 | 49:36 | 45 |
| ბათუმი | 33 | 8 | 12 | 13 | 32:28 | 36 |
| სიონი | 33 | 10 | 4 | 19 | 30:54 | 34 |
| კოლხეთი | 33 | 8 | 5 | 20 | 26:54 | 29 |
| დილა | 33 | 2 | 3 | 28 | 18:79 | 9 |

### მომდევნო ტური

18 მაისი, ოთხშაბათი

კოლხეთი – დილა
ზესტაფონი – ბათუმი
ტორპედო – სიონი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ეროვნული". თბილისი | დინამო 3:0 კოლხეთი | 8,0 | 9,0 | 6,0 | 7,6 |
| „თამაზ სტეფანია". ბოლნისი | სიონი 0:2 თბილისი | 7,5 | 5,5 | 5,5 | 6,1 |
| „თენგიზ ბურჯანაძე". გორი | დილა 1:2 ზესტაფონი | 6,5 | 6,5 | 2,5 | 5,1 |
| „არმაზი". მცხეთა | ვიტ ჯორჯია 0:1 ლოკომოტივი | 6,0 | 6,0 | 2,0 | 4,6 |
| „დინამო". ბათუმი | ბათუმი 0:1 ტორპედო | 4,0 | 6,0 | 2,0 | 4,0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 23-მელქაძე | დინამო |
| 21-მეგრელაძე | ტორპედო |
| 12-ოდიკაძე | თბილისი/დინამო |
| ბოზოხიძე | ლოკომოტივი |
| 11-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| ფიფია | თბილისი |
| 9-დვალი | დინამო |
| იაშვილი | თბილისი |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ზირაქიშვილი | ზესტაფონი |

# თქვენი ინტერვიუ
# ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ" და „მკვლელ" კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი" თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს" ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



კახა კალაძის გოლმა „მილანს“ ვერ უშველა

*ასეთი ხვავიანი ტური ჩვენს ლეგიონერებს ბოლოს როდის ჰქონდათ, ხეირიანად ვერც ვიხსენებთ. ხუთი გოლი და ექვსი საგოლე პასი — ასეთი მონაგარი მით უფრო საყურადღებოა, რომ მალე საქართველოს ნაკრებს ოფიციალური შეხვედრა ელის — 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩის სათამაშოდ 4 ივნისს ტირანაში ალბანეთს ესტუმრება. მოკლედ, ქვემოთ გამორჩეულ ლეგიონერთა ამბებს მოგითხრობთ...*

# ქართველი ტურისტები რუსეთში

## მეგოლე კალაძე და ასისტენტი ქინქლაძე

*იტალიაში კახა კალაძემ იყოჩაღა.* „მილანი“ სტუმრად „ლეჩეს“ ეთამაშებოდა და მატჩის მე-12 წუთზე ქართველმა მცველმა ნაკუთხურალ ბურთს საგოლე თავური მიაყოლა. მეორე ტაიმში კალაძის ძმაკაცმა ანდრეი შევჩენკომაც გაიტანა, თუმცა „მილანს“ ამან ვერ უშველა და საბოლოოდ ფრე — 2:2. ჩვენ კი დავძენთ, რომ ეს გოლი კალაძისთვის მეორე იყო მიმდინარე სეზონში.

*დუბლი და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობა* — ასე დაემშვიდობა *შოთა არველაძე* „აიბროქსს“, სადაც „რეინჯერსმა“ 4:1 მიანგრია „მოზერუელი“ და კვლავაც ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ „სელტიკს“. არველაძემ სრულად ითამაშა, პრემიერლიგის დასრულებამდე კი ერთადერთი ტურიღა დარჩა.

*რუსეთში ქართველებიდან თუ ვინმე ყოჩაღობს, ესენი მალხაზ ასათიანი და ვიტალი დარასელია არიან.* სხვათა შორის, ამ ტურში ორივე სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა „სპორტ-ექსპრესმა“. ასათიანის „ლოკომოტივმა“ შინ 4:0 დაამარცხა „როსტოვი“, დარასელიას „ალანიამ“ კი უმძიმეს ბრძოლაში 4:3 აჯობა ყაზანის „რუბინს“ და ვიტალიმ სამი საგოლე პასი გააკეთა. საინტერესოა, რომ ამ მატჩში დარასელიას გარდა კიდევ ხუთმა ქართველმა ითამაშა — *დავით კვირკველიამ* და *ლაშა სალუქვაძემ* სრულად, *ლევან გვაზავამ* და *გიორგი შაშიაშვილმა* შეცვლაზე, *ლადო ბურდული* კი პირველი ტაიმის მიწურულს შეცვალეს.

*ლატვიის ჩემპიონატს კვლავაც ლიეპაიას „მეტალურგსი“ ლიდერობს. ლევან მიქაძის* გუნდმა ამ უქმეებზე „ოლიმპი“ 6:0 გაანადგურა, ქართველებით სავსე „სკონტომ“ კი ლიგის დებიუტანტ „ვენტას“ მოუგრიხა კისერი — 3:0.

*აწ უკვე კვიპროსის ჩემპიონი „ანართოსისი“ ბოლო ტურშიც არ დაცხრა და „პარალიმნის“ 3:2 მოუგო.* ქართველებს გოლი არ გაუტანიათ, თუმცა *გიორგი ქინქლაძემ* ორი საგოლე პასი გააკეთა და კვიპროსის ჩამპიონატის საუკეთესო „ასისტენტი“ გახდა. მის გარდა ძირითადში *კლიმენტი წიტაიშვილმა, გიორგი გაბიდაურმა* და *გოჩა ხოჯავამაც* ითამაშეს.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლეჩე 2:2 | 90 | 1 გოლი | 18 | 2 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | დორტმუნდი 1:2 | 90 | | 32 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 1:4 | 0 | | 29 | 3 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 1:4 | 0 | | 20 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 1:4 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ზაარბრიუკენი 2:0 | 82 | შეცვალეს | 17 | 2 | 7 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | დრეზდენი 2:4 | 0 | | 18 | 1 | 14 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | მოზერუელი 4:1 | 90 | 2 გოლი | 22 | 6 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | მოზერუელი 4:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 15 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ალკმაარი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | როსტოვი 4:0 | 90 | | 7 | 0 | 5 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | როსტოვი 4:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 5 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | როსტოვი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | როსტოვი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | როსტოვი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | რუბინი 4:3 | 90 | 3 საგოლე პასი, გააფრთხ. | 6 | 0 | 13 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | რუბინი 4:3 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 13 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | რუბინი 4:3 | 40 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 5 | 0 | 13 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | რუბინი 4:3 | 90 | | 7 | 0 | 13 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | რუბინი 4:3 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 13 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | რუბინი 4:3 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 13 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ალანია 3:4 | 90 | | 5 | 0 | 7 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | გაზპრომი 3:1 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | გაზპრომი 3:1 | 62 | შეცვალეს | 4 | 0 | 2 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | სოკოლი 3:0 | 0 | | 8 | 0 | 1 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ყუბანი 0:2 | 63 | შეცვალეს | 6 | 0 | 11 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | ურალი 3:2 | 0 | | 4 | 0 | 19 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ჩელიაბინსკი 2:2 | 89 | საგოლე პასი, შეცვალეს | 8 | 0 | 22 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ორიოლი 2:3 | 90 | 2 გოლი | 10 | 2 | 16 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | მ. კუზბასი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 14 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | კალითეა 1:0 | 74 | შეცვალეს | 26 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | შაფჰაუზენი 1:2 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | შ | მეირინი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | გრაცერი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 8 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | დინამო 0:1 | 90 | | 25 | 9 | 8 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | ბელასიცა 4:1 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 25 | 5 | 1 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ლოკომოტივი 0:1 | 0 | | 12 | 0 | 7 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | ლოკომოტივი 0:1 | 45 | შეცვალეს | 11 | 3 | 7 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | შ | ამიკა 2:0 | 78 | შეცვალეს | 18 | 1 | 6 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 58 | შეცვალეს | 7 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 90 | | 8 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 45 | შეცვალეს | 6 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | ოლიმპი 6:0 | 90 | | 8 | 0 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | რიგა 0:0 | 90 | | 7 | 0 | 3 |
| გიორგი მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | რიგა 0:0 | 66 | შეცვალეს | 7 | 1 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | ს | იურმალა 2:1 | 90 | | 8 | 0 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | პარალიმნი 3:2 | 0 | | 23 | 16 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | პარალიმნი 3:2 | 90 | 2 საგოლე პასი | 23 | 2 | 1 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | პარალიმნი 3:2 | 90 | | 26 | 8 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | პარალიმნი 3:2 | 90 | | 10 | 1 | 1 |
| გოჩა ხოჯავა | ანართოსისი | შ | პარალიმნი 3:2 | 45 | შეცვალეს | 4 | 1 | 1 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ანართოსისი 2:3 | 0 | | 24 | 7 | 8 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | აპოელ 0:4 | 0 | | 14 | 4 | 4 |
| **ყაზახეთი. თასის მერვედფინალი** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | შახტიორი 1:0 | 84 | შეცვალეს | 7 | 0 | 13 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ირტიში 0:0 | 90 | | 6 | 0 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავარდნილები და რობსონი





ჰარი რედნაპისა და იან დოუვის წუხილი გასაგებია, მათი გუნდები გავარდნენ

**კვირა** საღამოს სამი მენეჯერი გამოეთხოვა პრემიერლიგას — ჰარი რედნაპი, იან დოუვი და ნაიჯელ უორზინგტონი.

ამათგან პირველმა, რედნაპმა „საუთჰემპტონის" ფანებს განუცხადა: „ჩვენ დაბალ ლიგაში არ შევყოვნდებით, პირდაპირ გადმოსვლისთვის ვიბრძოლებთ. კლუბს არეული სეზონი ჰქონდა, იცვლებოდა მენეჯერები და იყიდებოდა ფეხბურთელები. ამიტომაც დავისაჯეთ".

ახლა რედნაპი „საუთჰემპტონის" თავმჯდომარესთან, რუპერტ ლოურთან თათბირს აპირებს, რადგან არაფერი იცის მისი სამომავლო გეგმების შესახებ.

„როცა დეკემბერში აქ მოვედი — ამბობს რედნაპი — ფრანგმა მწვრთნელმა კრისტიან დამიანომ მითხრა: აქ შანსი არ გაქვს, ჰარი. ერთ კვირაში მივხვდი, რომ ის მართალი იყო".

„კრისტალ პალასის" მენეჯერმა დოუვიმ კი ხელები გაშალა: „ფეხბურთი სასტიკი თამაშია. გვარიანი დარტყმა მივიღეთ, მაგრამ ისტორიას ვერ შეცვლი — უნდა შეეგუო და იმუშაო. ყველაფერი ხელახლა იწყება".

„ნორვიჩის" თავკაცმა უორზინგტონმა თავი არც იმართლა: „როდესაც სეზონში 77 გოლს უშვებ, ხეირი არ იქნება".

გახარებული კი მხოლოდ ერთი კაცი იყო: „ვესტ ბრომვიჩის" მენეჯერ ბრაიან რობსონს თავზე იმდენი შამპანური ასხეს, რომ წვიმაში მოყოლილს ჰგავდა. „ვესტ ბრომი" სასწაულით დარჩა პრემიერლიგაში და იმავდროულად, ის შეიქნა პირველი გუნდი ლიგის ისტორიაში, შობას ბოლო ადგილზე მყოფი რომ მაისში გავარდნას გადაურჩა.

„ფანტასტიკური შეგრძნებაა — თქვა რობსონმა — ბიჭებს ეკუთვნოდათ. ჩემი კოლეგების გამო კი ვწუხვარ, ჩემი სიხარულის ფონზე მათ დრამას რომ ვხედავ. ჩვენს სტადიონზე ფანტასტიკური საღამო იყო".

**ირაკლი გამყრელიძე**



# არსენალ, არსენალ!
## კინმა ისევ იჩხუბა

**პრემიერლიგა** კი დასრულდა, მაგრამ როი კინს მაინც მოუხდა ჩხუბი. „მანჩესტერის" კაპიტანი საუთჰემპტონის „სენტ მერის" სტადიონის დაცვამ ჯაჯგურით შეიყვანა გვირაბში.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერმა" კვირას „საუთჰემპტონს" 2:1 მოუგო, რამაც ამ უკანასკნელის პრემიერლიგიდან გავარდნა გამოიწვია. კინი, რომელიც არ თამაშობდა, მატჩის შემდეგ მინდორზე გავიდა. ამას კი მასპინძელთა სტვენა და შეძახილი — „არსენალ", „არსენალ" მოჰყვა. აქაოდა, თასის ფინალში „მეთოფეები" გაჯობებენო.

კინმა არც აცია, არც აცხელა და გამწარებულ ფანებს დაბლა მიმართული ცერები დაანახა, ხომ მოგეხაზათო. ამან ფანობა განარისხა და... ასევე განრისხებული კინი ძლივს შეათრიეს გვირაბში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ოლა ეძებს
## ლე გუენმა პრეზიდენტი ჩააფიქრა

*საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონის" პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას სურს, რომ პოლ ლე გუენის შემცვლელი სეზონის ბოლომდე იპოვოს*



პოლ ლე გუენმა „ლიონთან" კონტრაქტის გაგრძელება იუარა

**მოგეხსენებათ**, ლე გუენმა „ლიონთან" კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და გუნდი უმწვრთნელოდ რჩება. ფრანგულ მედიაში კი უკვე გაჩნდა ცნობა, რომ „ლიონს" ჟერარ ულიეს ჩააბარებენო, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა: „ვცდილობთ, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ახალი მწვრთნელი მოვძებნოთ, ეს ჩვენი გეგმის უმთავრესი ნაწილია. ბოლო ტურისთვის (29 მაისი) ამას თუ მოვახერხებთ, ფრიად კმაყოფილი დავრჩები. ყველა კანდიდატს სათითაოდ შევხვდებით. ჟერარ ულიეს უკვე ველაპარაკეთ, რიგში კიდევ ექვსი-შვიდი კაცია".

ულიეს გარდა, „ბოკა ხუნიორსის" ყოფილი თავკაცის, კარლოს ბიანკის სახელმაც გაიჟღერა. ამასთან დაკავშირებით ჟან-მიშელ ოლამ თქვა: „ვიცი, მედიაში ბიანკიზეც წერენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწორედ ის იქნება „ლიონის" მწვრთნელი".

ულიესთან და ბიანკისთან ერთად ლორან ბლანიც ამოტივტივდა, მაგრამ პრეზიდენტის აზრით, ბლანი მწვრთნელობისთვის მზად არ არის, მას უფრო კლუბის ხელმძღვანელობაში მუშაობა შეეფერება".

**გაჟა ხუციშვილი**



ლორან რობერის სტრიპტიზი

# ლორან რობერმა ნიუკასლისთვის გაიხადა
## მე დავამთავრე, მე დავამთავრე

**„ნიუკასლის"** ფრანგი ლეგიონერი ლორან რობერი შარშან შემოდგომაზე, სერ ბობი რობსონის მწვრთნელობისას, ბედს არ უჩიოდა. მერე რომ რობსონი გრემ სუნესმა შეცვალა, ფრანგის საქმეები აირია — რობერი ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა, რამაც ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა დაძაბა.

ლორან რობერი პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში, „ჩელსისთანაც" არ ათამაშა სუნესმა, მაგრამ ფრანგმა შეხვედრის დასრულების შემდეგ „სენტ ჯეიმს პარკზე" გამოსათხოვარი რიტუალი ჩაატარა. რობერმა მაისურა, ტრუსები, გეტრები, ბუცები გაიხადა და ტრიბუნაზე ისროლა: „მე დავამთავრე, მე დავამთავრე „ნიუკასლი" — უყვიროდა თურმე ფანებს.

გრემ სუნესი კი ჯერ არ ამბობს, გაუშვებს თუ არა ლორან რობერს გუნდიდან.

„ჩვენ ახალი ფეხბურთელების შეძენას ვაპირებთ — თქვა მწვრთნელმა — რამდენიმე უკვე შევარჩიეთ. ალბათ უფრო მეტს გავყიდით, ვიდრე დავიმატებთ".

**გაჟა ხუციშვილი**

# სანაპიროს ჩემპიონი
## კანტონას პორტუგალია მეორედაც შემოემარცხა

**ერიკ კანტონა** პლაჟის ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა — „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი, ამჟამად საფრანგეთის ნაკრების მოთამაშე მწვრთნელია. სწორედ მისი თავკაცობით სძლიეს ფრანგებმა რიო დე ჟანეიროში გამართული ჩემპიონატის ფინალში პორტუგალიელებს პენალტებით.

„ძალიან ბედნიერი ვარ — თქვა კანტონამ — ჩვენ ბეჯითად ვიშრომეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ამისთვის ოთხი წელი ვემზადებოდით და დაგვიფასდა".

„მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლის შემდეგ ერიკ კანტონა პლაჟის ფეხბურთით ერთობდა და ბოლოს ნაკრების მწვრთნელობასაც გამოჰკრა ხელი.

საინტერესო კი ისაა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა შარშან, პლაჟის ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატიც მოიგო და ფინალში მაშინაც პორტუგალიელები დაამარცხა.

**გაჟა ხუციშვილი**



ერიკ კანტონა

# მანჩესტერმა გიგზი და ჰოვარდი გააგრძელა


რაიან გიგზი

**ინგლისის** ასოციაციის თასის ფინალური მატჩის წინ რაიან გიგზმა და ტიმ ჰოვარდმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტები გააგრძელეს. შეგახსენებთ, რომ თასის ფინალი 21 მაისს გაიმართება კარდიფის „მილენიუმზე" და მანჩესტერელები ლონდონის „არსენალს" შეხვდებიან.

31 წლის უელსელმა ნახევარმცველმა გუნდში კიდევ ორი სეზონით დარჩენა ინება და კარიერასაც ალბათ, „მანჩესტერ იუნაიტედში" დაასრულებს.

ამდენივე ხნით დარჩება 26 წლის ამერიკელი მეკარე ტიმ ჰოვარდიც, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შეცდომის გამო ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ერთხანს სათადარიგო იყო.

რაიან გიგზისთვის კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივებას კლუბის აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ საბოლოოდ დაჰყაბულდა. გიგზს უელსის ნაკრებში 51-ჯერ უთამაშია და რვა გოლი გაუტანა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში გამართულ 634 მატჩში 130 გოლი მიითვალა.

რაც შეეხება ამერიკელ ჰოვარდს, მას მშობლიური ნაკრების მაისურა ათჯერ მოუგია, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში ამ სეზონში 27-ჯერ იდგა, მათ შორის პრემიერლიგის მატჩებში მხოლოდ 12-ჯერ.

**ვაჟა ხუციშვილი**


სამუელ ეტოოს „ბარსას" ჩემპიონობამ ჭკუა დააკარგვინა

# ეტოომ რეალს სახალხოდ აგინა

**ესპანური** მედია ახლახან გაჩემპიონებულ „ბარსელონას" აფრიკელ ფორვარდ სამუელ ეტოოს თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

„სამუელ, ყველამ კარგად იცის, შენსა და „რეალს" შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა, თუმც ის, რაც მადრიდული კლუბის მისამართით თქვი, არა მგონია, ვინმემ მოგიწონოს. სერიოზული კაცი ხარ და ნერვები დროულად უნდა მოთოკო" — მამაშვილურად ურჩია ეტოოს მადრიდული „ასის" ერთ-ერთმა კორესპონდენტმა.

და მაინც, ხომ საინტერესოა, რა თქვა ამისთანა ეტოომ? რა და ფიცხმა კამერუნელმა — ვინაც „ბარსამდე" „რეალის" სათადარიგოებში ყოფნამ და მეორეხარისხოვან გუნდებში იჯარამ გააწამა — კატალონიური გრანდის საჩემპიონო ზეიმზე, 100 ათასი გულშემატკივრის თვალწინ თავი ვერ შეიკავა.

„მადრიდელო ნაბიჭვრებო, ნაძლევს ჩემპიონებს მიესალმეთ!" — მთელი ხმით გაჰყვიროდა მიკროფონში გაავფორებული აფრიკელი და სანამ თანაგუნდელის ტემპერამენტით შეშფოთებულმა ხერარდმა მისი გაჩუმება შეძლო, „კამპ ნოუ-ზე" შეკრებილმა „ბარსას" ასისტებმა ვინძლო „მოსისხლე მტრის" საჯაროდ გალანძღვით ფრთიად მოხეს გული.

როგორც პირინეული პრესა გვამცნობს, სამუელ ეტოოს თავისი ყოფილი კლუბის სახელი „კამპ ნოუ-ზე" აუგად საჯაროდ ზუსტად მეხუთეჯერ უხსენებია.

ისე, ასეთი შემთხვევა ადრეც მომხდარა. მაშინ, ხუთი წლის წინ, ჯერ კიდევ „ბარსელონაში" მყოფმა ლუიშ ფიგუმ ზუსტად საჩემპიონო ზეიმის დროს, „ბარსელონის" გენერალიტეტის აივნიდან შესძახა ომახიანად: „თეთრო მერენგებო, „ბარსას" ჩემპიონობა მოულოცავთ" მაგრამ, მერე რაც მოხდა, რა თქმა უნდა, გახსოვთ, ფიგუ მომდევნო სეზონში რატომღაც მასიურად „სადედლეველ" თეთრ ფორმაში გამოეწყო.

**ლადო ხომერიკი**

*ჯოვანი ტრაპატონის სამშობლო მოენატრა და სეზონის ბოლოს იტალიაში დაბრუნება უნდა. არადა, „ბენფიკაში" მისი მუშაობა წარუმატებელი ნამდვილად არაა. ლისაბონელებმა თითქმის გაინაღდეს ქვეყნის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში ადგილი. მიუხედავად ამისა, დონ ტრაპი მზად არის, ეს ყველაფერი სერია B-ს კლუბზეც კი გაცვალოს*


ჯოვანი ტრაპატონი

# ტრაპს ნოსტალგია მოაწვა

**„გუნდთან** კონტრაქტი კიდევ ერთი წლის მაკავშირებს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება მინდა. მზად ვარ, ნებისმიერი კლუბი ჩავიბარო, თუნდაც აუტსაიდერი. სერია B-ს ბინადარი გუნდების შემოთავაზებებსაც განვიხილავ. სირთულეების არასდროს მოვრიდებივარ" — აღნიშნა გამოცდილმა სპეციალისტმა.

შეგახსენებთ, რომ ტრაპატონიმ აქამდე სამ კლუბს — „იუვენტუსს", „ინტერსა" და „ბაიერნს" მოაგებინა ეროვნული ჩემპიონატი, სულ მალე კი, თუ საოცარი არ მოხდა, ამ სიას „ბენფიკაც" დაემატება.

„რაშია ჩემი საიდუმლო? სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრებასა და გამოცდილებაში. ხშირად ხდება საჭირო, ახალი და უცხო რაღაცეები მალე გაითავისო. ყოველთვის ვცდილობ სათამაშო სისტემებში ახალი ელემენტების შეტანას და ვითარებისთვის მორგებას" — დასძინა ტრაპმა.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ ცოტა ხნის წინ, მისი სახელი „ლაციოს" დაუკავშირეს — დედაქალაქელთა უფროსობა გუნდის ამჟამინდელ თავკაც ჯუზეპე პაპადოპულოს მუშაობით მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის და ეგებ ტრაპატონისთან წამოიწყოს მოლაპარაკება.

**გიორგი ძაძაგაძე**

*ვეტერანი იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ველარ ხვდება და მისი გუნდიდან სავარაუდო წასვლის შესახებ მითქმა-მოთქმაც გრძელდება. თავად ფეხბურთელმა კი ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უარყო*

# ვიერიმ მილანს დასცინა



**კრისტიან ვიერი:** „გუნდთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და სხვაგან წასვლას არ ვაპირებ. ჯერჯერობით არც ახალი შეთანხმების გაფორმებაზე საუბარი. ჭორებს კი ყურადღებას ნუ მიაქცევთ".

აღსანიშნავია, რომ ვიერის სახელს „მილანსა" და „ატლეტიკოს" უკავშირებდნენ. აქაოდა, „როსონერის" ალბერტო ჯილარდინის ფასი ძალიან ეძვირა და გამოცდილი ფორვარდის დამატებას ამჯობინებსო. თუმც ვიერის ეს ყველაფერი სასაცილოდაც არ ეყო.

რაც შეეხება „ატლეტიკოს", მოგეხსენებათ, მან მადრიდელთა რიგებში 1997-98 წლების სეზონი გატარა და 24 მატჩში 24 გოლი გაიტანა. ახლა ესპანურ კლუბს თავდასხმის გაძლიერება უნდა და „ბობოს" დაბრუნების ვარიანტსაც განიხილავს.

ბოლოს კი ისევ ვიერის მოვუსმინოთ, რომლის ანგარიშზეც მიმდინარე სეზონში 12 გოლია: „ვფიქრობ, ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებ, მაგრამ როდის ვითამაშებ და როდის არა, მწვრთნელის გადასაწყვეტია, ამას გაგებით ვეკიდები. ბოლო ორი თვეა, მთლიანად გუნდიც კარგად გამოიყურება, საჭირო ქულებიც მოვიპოვეთ და მესამე ადგილი გავინაღდეთ. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა სწორედ ეს იყო. იმედია, შემდეგი სეზონი უფრო წარმატებული იქნება".

**გიორგი ძაძაგაძე**

# შავმა პანტერამ ბუცები გაიძრო

**კამერუნელმა** პატრიკ მბომამ კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან გუშინ ტოკიოში განაცხადა.

34 წლის ფორვარდმა, რომელიც იაპონური ჯეი ლიგის „ვისელ კობეში" თამაშობდა, თქვა: „რამდენიმე მძიმე ტრავმის შემდეგ გადავწყვიტე, ბუცები ლურსმანზე ჩამოვკიდო. ფეხბურთმა დიდი სიამოვნება მომანიჭა და ქომაგებიც არაერთხელ გამიხარებია. ამიერიდან აღარ ვითამაშებ, მაგრამ ფეხბურთის სამყაროს მაინც ვერ მოვწყდები".

მოგეხსენებათ, პატრიკ მბომა 2000 წელს აფრიკაში საუკეთესოდ აღიარეს, ამის გარდა იგი ოლიმპიური (2000) ჩემპიონია და ორჯერ (2000, 2002) აფრიკის ეროვნებათა თასიც მოუგია.

ფეხბურთელობისას პსჟ-ში, „მეცში", „გამბა ოსაკაში", „კალიარიში", „პარმაში", „სანდერლენდსა" და „ტოკიო ვერდიში" უთამაშია. „ტოკიო ვერდიდან" „კობეში" კი შარშან, აგვისტოში გადავიდა.


პატრიკ მბომა

„გამბა ოსაკაში" ყოფნისას იაპონურებმა „შავ პანტერად" მონათლეს, კამერუნის ნაკრებში ჩატარებულ 57 მატჩში კი პატრიკ მბომას 33 გოლი აქვს გატანილი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორი ფეხბურთი, ერთი საქმის ცოდნა და ერთიც პატიოსნება

## ვინ იცნობს კოლინას?

**ფოტოს დახედავთ და იმწუთას იტყვით: ოჰ, ეს ხომ პიერლუიჯი კოლინაა. დიახ, მისი ცნობა ადვილია, ოღონდ ნუ გვკითხავთ რატომ. ვინც არ იცის, რომელია კოლინა, ფოტოს დახედოს, ხოლო იმათ, ვინც კოლინას ცნობს, თქვას — რა იცის მის შესახებ. ვშიშობთ, რომ ბევრიც არაფერი, რადგან ის მსაჯია, მსაჯებზე კი ნაკლები იწერება, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მისი ერთ-ერთი ინტერვიუ ვთარგმნოთ**



**— როგორ გახდით მსაჯი?**

— სკოლაში სწავლის დროს მეგობარმა მითხრა, მსაჯობის კურსებზე ვაპირებ სიარულს და ჩემთან ერთად შენც ხომ არ ივლიდიო. ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი და გავყევი. ხოლო იქ, კურსებზე, ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთ მსაჯს საკონტაქტო ლინზა გაუფუჭდა და მოედანზე მის მაგივრად გასვლა მთხოვა, რისთვისაც დღემდე ვემადლიერები.

**— კარიერის დასაწყისში გქონდათ რწმენა იმისა, რომ ასეთ სიმაღლეებს მიაღწევდით?**

— არა, იქიდან საერთაშორისო დონის მსაჯობა საკმაოდ მაღლა ჩანდა და უეფას ელიტარულ მარაქაში გარევაზე არც კი მიფიქრია.

**— და საკუთრივ ფეხბურთელობა არასდროს მოგდომებიათ?**

— 17 წლამდე თავადაც ვთამაშობდი, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა მსაჯობაზე გადავრთულიყავი, რომ მთელი გონება და ენერგია ამ პროფესიისკენ მივმართე. ისე, ხანდახან დღესაც ვახერხებ თამაშს, თუმცა გულახდილად, რომ გითხრათ, კარგი ფეხბურთელი არასდროს ვყოფილვარ.

**— მაშინ პროფესიასთან დაკავშირებით გკითხავთ: ბოლო წლებში ტელევიზიით აურაცხელი თამაში გადაიცემა და ამან მსაჯობას ნირი და იერი აშკარად უცვალა. რას იტყვით, დღეს, ალბათ, გაცილებით მეტი თვალი გაკონტროლებთ და მეტ ზეწოლასას განიცდით?**

— მგონი, უპირველეს ყოვლისა ორი კატეგორიის ფეხბურთი უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან: ერთი გახლავთ ფეხბურთი მოედანზე, ოცდაორი მოთამაშისა და სამი თუ ოთხი მსაჯის მონაწილეობით, რომელსაც ტრიბუნაზე მსხდომი ადამიანები ადევნებენ თვალს და მეორე, ფეხბურთი ტელეეკრანზე. ეს ტოტალურად განსხვავებული რამ გახლავთ. ფეხბურთი მოედანზე, ნამდვილი, ცოცხალი პროცესია და მისი ტრანსლაციებთან გაიგივება შეცდომაა. ყველაფრის თავი და თავი კი ის გახლავთ, რომ ფეხბურთი იდეალური სახეობა არ არის, მასში მონაწილე ადამიანები ხშირად ცდებიან და ქომაგებსაც სწორედ ამ შეცდომებზე საუბარი იტაცებთ. გაიხსენეთ, რამდენ საუბარს იწვევს მეკარის ნებისმიერი შეცდომა, მწვრთნელის არასწორი გადაწყვეტილება, მსაჯის მიერ შეცდომით დანიშნული ან არდანიშნული ჯარიმა თუ კუთხური... ამ ყველაფერს ცხადია, ტელევიზიითაც აჩვენებენ და ხშირად იმავე მეკარისთვის ან მსაჯისთვის ტელევიზორში ნანახი კარგი გაკვეთილია, მაგრამ ის, რომ ორი, ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავებული ფეხბურთი არსებობს, ფაქტად რჩება.

**— ხშირად მასმედიაში შეცდომის გამო გაკრიტიკებენ, სწორი გადაწყვეტილების გამო კი, არა თუ გაქებენ, ასეთ ეპიზოდებს საერთოდ უკომენტაროდ ტოვებენ. ეს ძალიან გაღიზიანებთ?**

— რა თქმა უნდა. განა ოცი წლის წინანდელი მსაჯები დღევანდელებს რაიმეთი სჯობდნენ? არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ, მაშინდელი ტელევიზია მათი ყოველი ჩასტვენის გამეორებასა და ანალიზს ვერ ახერხებდა. დღეს კი სხვა ვითარებაა. თვალსაჩინოებისთვის გეტყვით, რომ ევროპის გასული ჩემპიონატის ყოველ შეხვედრას 18 კამერით იღებდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, ტექნოლოგიას მსაჯთათვის დახმარების გაწევა შეუძლია?**

— ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ. ყველაზე მეტად, გონებასთან ახლოს გახლავთ ის, რომ ჯობს ტექნოლოგიამ მხოლოდ მკაფიო კითხვაზე გაგვცეს პასუხი, კერძოდ, იყო თუ არა გოლი ანუ გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ამას გარდა კი, მე თუ მკითხავთ, ადამიანები ერთმანეთის შეცდომებს უნდა შევეგუოთ, თუნდაც ეს შეცდომები მსაჯისა იყოს.

**— მართლაც, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, მეტად საჭირბოროტო საკითხია. აბა, სხვა რა შეიძლება ვთქვათ, როდესაც გავიდა თუ არა, ინგლისელების გოლი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერმანელთა კარში, იმ დღიდან 39 წლის მერეც ცხარე დავის მიზეზი რომაა...**

— ჰო, მაგაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი... ეს ხუმრობით. ისე კი, ეგ ეპიზოდი მახსოვს და მგონი მსაჯებმა მთლად სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს.

**— თქვენ უამრავ ქვეყანაში გიმსაჯიათ და, ალბათ, ამ ქვეყნებს შორის განსხვავებებიც შეგიმჩნევიათ. მაგალითად, ინგლისელები საკმაო ამპარტავნობით აცხადებენ, რომ მათი ფეხბურთელები სხვა ერის მოთამაშეთაგან განსხვავებით, მოედანზე მსაჯის მოსატყუებლად წაქცევას არ კადრულობენ...**

— საზღვარი მატყუარათა და წესიერთა შორის მთლად ასე მკაფიოდ არ არის გავლებული. საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთში ცრუ წაქცევა დიდი პრობლემაა. ამასწინათ, მსაჯობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ჩემს შოტლანდიელ კოლეგასთან, ჰიუ დალასთან, ყოფილ ვარსკვლავებთან, ანდონი სუბისარეტასთან და მიქაელ ლაუდრუპთან, აგრეთვე მწვრთნელებთან, ბერტი ფოგთსთან და როი ჰოჯსონთან ვსაუბრობდი და, როდესაც სიტყვა ცრუ წაქცევებს შეეხო, ბერტი ფოგთსმა ბრძანა, რომ ეს მხოლოდ ლათინური, სამხრეთის და ხმელთაშუა ზღვის აუზის წარმომადგენელთა სენი არ არის. ვფიქრობ, ეს პრობლემა მენტალიტეტის შეცვლით, ადამიანთა აღზრდით უნდა გადაწყდეს. ცრუ წაქცევები მსოფლიო ფეხბურთში მაშინ აღმოიფხვრება, როდესაც მოთამაშეები მიხვდებიან, რომ ისინი ტყუილით თამაშს კი არ იგებენ, არამედ თავიანთ კოლეგებს, მათსავით ფეხბურთელებს, პროფესიონალებს, მეტოქეებს ექცევიან უსინდისოდ. ისინი აზარალებენ საქმეს, რომელიც მათ პურს აჭმევთ.






პიერლუიჯი კოლინა მკაცრიცაა და პრინციპულიც

**— უკნიდან „პადკატზე" ავტომატური წითელი ბარათი კარგი წესი გამოდგა? გამოსწორდა საქმე მას მერე?**

— ვერაფერს გეტყვით. ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ, მაგრამ რა?

**— თქვენი კარიერის ურთულესი მატჩი დაგვისახელეთ...**

— შემდეგი. ისე, ნებისმიერი თამაში ძნელია, თუმცა, იმავდროულად ნებისმიერი მატჩი ძალიან იოლიც გახლავთ. მთავარია, კონცენტრაცია. ზუსტად ისე, როგორც ფეხბურთელები არიან. თუ ისინი სრულ კონცენტრაციას ვერ შეძლებენ, მსაჯებიც დამარცხდებიან.

**— როგორ ფიქრობთ, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, კარგი მსაჯი რომ გახდეს?**

— ბოლო ხუთ წელიწადში თამაშის ტემპი ისე გაიზარდა, დღეს კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე, არაფერი გამოვა. გარდა ამისა, საჭიროა ძლიერი მენტალიტეტი, რათა ყოველი მატჩის ყოველი წუთისთვის იყო მზად. მსაჯმა უნდა იცოდეს ისიც, როგორ თამაშობენ ფეხბურთელები და გუნდები ანუ ტექნიკურ და ტაქტიკურ მხარეზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. მსაჯმა, ყოველი მატჩის წინ, საათები უნდა გაატაროს ვიდეომაგნიტოფონთან, რათა მომავალი განსასჯელების თამაში შეისწავლოს.

**— ამბობენ, რომ მზადდება ორმსაჯიანი ექსპერიმენტი. მოგწონთ ეს იდეა?**

— ჯერ ვერ გეტყვით, ეს კარგი აზრია, თუ ცუდი.

**— ზოგი მწვრთნელი, მაგალითად, ალექს ფერგიუსონი თავის ფეხბურთელებს ყოველი ჯარიმის შემდეგ მსაჯთან კამათს ავალებს...**

— ვერაფერს გეტყვით.

**— არის მოსაზრება, რომ ჯობს მსაჯებმა გუნდებთან ერთად ივარჯიშონ. ამბობენ, ამით მათ ფეხბურთელებთან ურთიერთობა გამოუსწორდებათ...**

— მე კი მგონია, რომ კარგი ურთიერთობისთვის მსაჯის კომპეტენტურობა და ფეხბურთელის წესიერება სრულიად საკმარისია.

**— რამდენიმე წლის წინ თქვენ ბრძანეთ, რომ მოთამაშეების სხეულთა ტოკვა გახვედრებთ, თუ რა მოხდება, ან რა მოხდა ამა თუ იმ მომენტში. რას ნიშნავს ეს?**

— წარმოიდგინეთ, ერთმანეთისგან 20 მეტრში მყოფი, ერთმანეთის მიმართულებით მოსიარულე ორი ადამიანი. იტყვით დანამდვილებით, ჯერ რომელი შეეხება მეორეს? ალბათ ვერა, რადგან ამის შეგრძნებას გამოცდილება სჭირდება...

*გერმანული „ბილდის“ ცნობით, მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მწვრთნელად კრისტოფ დაუმი სურს და მოლაპარაკებაც გაუბამს — „კიოლნის“, „შტუტგარტისა“ და ლევერკუზენის „ბაიერის“ ყოფილი თავკაცი ამჟამად სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ მუშაობს და ზედიზედ მეორე ჩემპიონობისკენ მიჰყავს*

# დაუმს სამშობლო გაახსენეს

**თურქეთის** თასის ფინალში „გალათასარაისთან“ მარცხმა (1:5) „ფენერის“ ფანებისა და კლუბის პრეზიდენტის წყრომა გამოიწვია. ამიტომაც გაჩნდა ეჭვი, რომ კრისტოფ დაუმი „ფენერბაჰჩედან“ აბარგებას აპირებს.

„ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტი ჯერ კიდევ მაკავშირებს — თქვა დაუმმა — მიონხენგლადბახიდან რამდენჯერმე უკვე დამიკავშირდნენ, თურქული მედია კი ყოველდღე ჩემს შემცვლელ არაერთ კანდიდატს ასახელებს. მათ შორის არიან რადომირ ანტიჩი და პოლ ლე გუენი“.

„ბორუსიას“ პრეზიდენტმა როლფ კონიგსმა კი განაცხადა, კრისტოფ დაუმი თუ დაგვთანხმდა, მისი ჯამაგირისთვის ფულს ნამდვილად არ დავიშურებთო.

**გაჩა ხუციშვილი**



კრისტოფ დაუმს მიონხენგლადბახში ეპატიჟებიან

## თურქეთი

### სუპერლიგა. XXXII ტური

მალათია — დენიზლი 2:2; სამსუნი — ანკარა 0:0; სებათი — გაზიანთეფი 2:0; ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჰჩე 1:0; გალათასარაი — გენჩლერი 1:2; ისთანბული — ბეშიქთაში 1:1; ქაისერი — საქარია 1:0; კონია — დიარბაქირი 2:1; რიზე — ტრაბზონი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 32 | 25 | 2 | 5 | 74:20 | 77 |
| გალათასარაი | 32 | 23 | 4 | 5 | 60:24 | 73 |
| ტრაბზონი | 32 | 22 | 5 | 5 | 65:28 | 71 |
| ბეშიქთაში | 32 | 19 | 8 | 5 | 65:35 | 65 |
| გენჩლერი | 32 | 13 | 9 | 10 | 51:39 | 48 |
| დენიზლი | 32 | 13 | 9 | 10 | 45:40 | 48 |
| ანკარა | 32 | 12 | 8 | 12 | 49:46 | 44 |
| რიზე | 32 | 11 | 9 | 12 | 33:33 | 42 |
| კონია | 32 | 10 | 11 | 11 | 57:59 | 41 |
| გაზიანთეფი | 32 | 12 | 5 | 15 | 44:50 | 41 |
| მალათია | 32 | 11 | 7 | 14 | 40:47 | 40 |
| სამსუნი | 32 | 9 | 9 | 14 | 40:53 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 32 | 9 | 7 | 16 | 34:59 | 34 |
| ქაისერი | 32 | 8 | 9 | 15 | 39:61 | 33 |
| დიარბაქირი | 32 | 8 | 6 | 18 | 29:52 | 30 |
| საქარია | 32 | 8 | 5 | 19 | 45:66 | 29 |
| ისთანბული | 32 | 5 | 12 | 15 | 30:51 | 27 |
| სებათი | 32 | 3 | 9 | 20 | 35:72 | 18 |

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. XXXI ტური

ბადენი — შო დე ფონი 2:2; ბულე — იუვენტუსი 0:3; ვოლენი — კრინსი 1:2; ვილი — ვინტერთური 2:1; ივერდონი — კიასო 0:2; ბელინცონა — ბოლმი 3:1; კონკორდია — ვადუცი 4:1; სიონი — მეირინი 3:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXX ტური

ბანსკა ბისტრიცა — პეტრჟალკა 0:0; დუბნიცა — ინტერი 0:0; პუხოვი — ტრენჩინი 3:0; რუჟომბეროკი — ტრნავა 0:3; სობოტა — ჟილინა 0:3

## ირლანდია

### პრემიერლიგა. IX ტური

სენტ პატრიკსი — შემროკი 1:1; უოტერფორდი — კორკ სიტი 2:2; ბოჰემიანსი — ლონგფორდი 2:0; ბრეი — დერი სიტი 0:1; დროჰედა — შელბურნი 0:0; ფინ ჰარპსი — დუბლინი 1:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XII ტური

ნიიგატა — კაშიმა 2:2; სერეზო — გამბა 2:4; კავაზაკი — შიმიცუ 0:1; ომია — ჰიროშიმა 0:1; ვერდი — კაშივა 1:0; ნაგოია — კობე 0:2; იჩიჰარა — ტოკიო 2:1; ივატა — ოიტა 2:1; იოკოჰამა — ურავა 0:1

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. XXIX ტური

პუბლიკუმი — ნოვა გორიცა 0:1; პრიმორიე — დომზალე 0:1; ოლიმპია — დრავა პტუი 0:2; ლიუბლიანა — მარიბორი 1:0; მურა — კოპერი 3:2; ბელა კრაინა — ზაგორიე 0:0

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა XXVII ტური

ლიბერეცი — ოპავა 3:0; პრჟიბრამი — სლავია 0:1; ზლინი — იაბლონეცი 1:2; ბლშანი — ბუდეიოვიცე 1:0; ბოლესლავი — დრნოვიცე 0:0; სპარტა — ბრნო 2:0. სიგმა — ტეპლიცე 3:3; ბანიკი — სლოვაცკო 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 27 | 20 | 4 | 3 | 52:21 | 64 |
| ტეპლიცე | 27 | 12 | 11 | 4 | 32:25 | 47 |
| სლავია | 27 | 13 | 7 | 7 | 36:25 | 46 |
| სიგმა | 27 | 12 | 6 | 9 | 31:31 | 42 |
| ლიბერეცი | 27 | 12 | 9 | 6 | 40:23 | 39 |
| ბანიკი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:31 | 37 |
| იაბლონეცი | 27 | 9 | 9 | 9 | 26:26 | 36 |
| დრნოვიცე | 27 | 8 | 8 | 11 | 27:27 | 32 |
| ბოლესლავი | 27 | 6 | 12 | 9 | 26:31 | 30 |
| ბლშანი | 27 | 7 | 9 | 11 | 23:35 | 30 |
| ზლინი | 27 | 6 | 11 | 10 | 25:34 | 29 |
| პრჟიბრამი | 27 | 7 | 7 | 13 | 25:39 | 28 |
| სლოვაცკო | 27 | 9 | 12 | 6 | 27:20 | 27 |
| ბრნო | 27 | 7 | 6 | 14 | 24:39 | 27 |
| ბუდეიოვიცე | 27 | 6 | 6 | 15 | 25:34 | 24 |
| ოპავა | 27 | 5 | 9 | 13 | 24:35 | 18 |

*ლიბერეცს“ და „ოპავას“ დაკლებული აქვთ 6-6 ქულა, „სლოვაცკოს“ — 12*

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა XXVIII ტური

დებრეცენი — ბეკეშჩაბა 5:1; დიორ ეტო — შოპრონი 1:0; ჰონვედი — უიპეშტი 1:1; მტკ — კაპოშვარი 0:0; ვიდეოტონი — ნირეგიჰაზა 5:3; ზალაეგერსეგი — ტატაბანია 5:2; დიოშდიორი — ვაშაში 0:0; პეჩი — ფერენცვაროში 2:0

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა XXIX ტური

სლავენი — ვარტექსი 2:2; ინტერი — ზაგრები 1:1; რიეკა — ჰაიდუკი 1:1; პულა — მედიმურიე 0:0; კამენი — დინამო 0:1; ოსიეკი — ზადარი 1:1

## არგენტინა

### კლაუსურა. XIII ტური

ესტუდიანტესი — სან ლორენსო 0:1; არსენალი — ლანუსი 2:2; ინსტიტუტო — ბოკა ხუნიორსი 3:1; რივერ პლეიტი — ოლიმპო 0:2; ბანფილდი — ინდეპენდიენტე 1:1; არგ. ხუნიორსი — ხიმნასია 1:2; ურაკანი — როსარიო 2:2; ოლდ ბოისი — ალმაგრო 2:1; კოლონი —ველესი 1:1; რასინგი — კილმესი 2:1

## ბრაზილია

### სერია A. IV ტური

ფორტალეზა — პონტე პრეტა 2:1; ბოტაფოგო — ატლ. მინეირო 2:1; ფიგეირენსე — ინტერნასიონალი 1:2; სან პაულუ — კურიტიბა 1:0; ატლ. პარანენსე — კორინთიანსი 1:2; კრუზეირო — გოიასი 3:1; ჟუვენტუდე — ვასკუ და გამა 4:1; პაისანდუ — სან კაეტანო 3:2; ბრაზილიენსე — ფლუმინენსე 0:3; ფლამენგო — სანტოსი 2:1; პალმეირასი — პარანა 1:2

## შვედეთი

### ალსვენსკა. VI ტური

ჰეკენი — ელფსბორგი 2:2; ჰალმსტადი — იორგრიტე 4:2; ლანდსკრონა — ასირისკა 2:1; გეფლე — სუნდსვალი 2:1; გიოტებორგი — ჰელსინგბორგი 0:0; მალმიო — კალმარი 1:0. *ჰამარბი — იურგორდენი ხვალ გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| კალმარი | 6 | 3 | 2 | 1 | 4:1 | 11 |
| ჰეკენი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 10 |
| ჰალმსტადი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| იურგორდენი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:8 | 10 |
| გიოტებორგი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:5 | 9 |
| ლანდსკრონა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| იორგრიტე | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| გეფლე | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ჰამარბი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ასირისკა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:7 | 4 |
| სუნდსვალი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:13 | 4 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |

### სუპერეტა. V ტური

დეგერფორსი — ვასბი 3:0; ფალკენბერგი — ბოდენსი 1:0; აიკ — ლიუნგსკილე 1:1; იოსტერსი — მიალბი 0:0; ტრელებორგი — ბრომაპოიკარნა 3:0. *ნორჩიოპინგი — ფრიოლუნდა, ვასტერასი — იორებრო და გაის — ატვიდაბერგი დღეს გაიმართება*

## სერბეთი

### პრვა ლიგა. XXVIII ტური

ბორაცი — ჩუკარიჩკი 1:1; ჰაიდუკი (ბ) — სუტიესკა 3:2; ოფკ — რადნიჩკი 3:2; ცრვენა ზვეზდა — ბუდუჩნოსტი 1:2; ვოივოდინა — სარტიდი 2:0; ჟელეზნიკი — ობილიჩი 4:3; ზემუნი — ჰაიდუკი (კ) 1:0; ზეტა — პარტიზანი 1:1

## მექსიკა

### კლაუსურა. პლეი ოფი მეოთხედფინალი პირველი მატჩები

**კრუზ ასული 3:3 მონტერეი**

**მორელია 2:1 ტიგრესი**

### კლაუსურა. პლეი ოფი მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები

***ამერიკა* 1:1 სანტოსი (2:2)**

***ტეკოსი* 2:1 ნეკაქსა (2:0)**

## აშშ

### მეიჯორ სოკერ ლიგა VII ტური

ნიუ ინგლენდი — ვაშინგტონი 1:0; კოლუმბუსი — კანზასი 0:4; ჩიკაგო — ნიუ იორკი 0:3; კოლორადო — ჩივასი 2:1; სოლტ ლეიკი — ლოს ანჯელესი 2:1; სან ხოსე — დალასი 0:0

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80




**იტალიური** „მილანის“ ნახევარმცველმა მასიმო ამბროზინიმ შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვოს. იგი „ლეჩესთან“ მატჩში დაშავდა. ექიმები საბოლოო დიაგნოზს რამდენიმე დღეში დასვამენ. ამბროზინის გარდა, „მილანის“ ლაზარეთში კიდევ ერთი ფეხბურთელია — მესამე მეკარე ვალერიო [illegible]

**გერმანული „ბაიერნი“ ვილი სანიოლის გასხვისებას** არ აპირებს. **მოგეხსენებათ, ფრანგს ინგლისური კლუბები** უტრიალებენ. **„მის კონტრაქტს ვადა 2006 წლის ზაფხულში გასდის** და ამ დრომდე **მაინც ვილი „ბაიერნში“ ითამაშებს. ვფიქრობ, იგი** სწორედ ჩვენ **უნდა გვიმადლოდეს, ახლა ასეთი ცნობილი მოთამაშე** რომაა“ — თქვა მიუნხენელთა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

**ესპანური** „რეალი“ მაიკლ ოუენის სარფიანად [illegible] სავარაუდოდ, უარს არ იტყვის. „ლივერპულის“ ყოფილი [illegible] ხელში ჩაგდება ყველაზე მეტად „ნიუკასლს“ სურს. [illegible] არიან, დაახლოებით 18 მილიონი გირვანქა გადაიხადონ, [illegible] დელები სხვა მსურველებისგან უფრო დიდ თანხას [illegible]

**ინგლისურმა „ჩელსიმ“ ფრანგ კლოდ მაკელელესთან** გააგრძლივა **კონტრაქტი. მხარეებმა ახალი, სამწლიანი** შეთანხმება გააფორმეს, **რომლითაც 32 წლის ფეხბურთელი ძალიან** კმაყოფილი **დარჩა. მიუხედავად ამისა, მაკელელეს ლონდონელთა** ძირითადში **ადგილი გარანტირებული მაინც არ აქვს.**

**იტალიური** „პარმას“ ხელმძღვანელობა გვამცნობს, [illegible] ტო ჯილარდინოს მსურველი ამჟამად ექვსი კლუბია — [illegible] „იუვენტუსი“, „ინტერი“ „რეალი“, „ჩელსი“ და „არსენალი“ [illegible] ფასი 35 მილიონი ევროა. ვინც მეტს გადაიხდის, [illegible] დარჩება. მისი გუნდში დარჩენა, ფაქტობრივად, [illegible] მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ახალი [illegible] დება, რომელიც კლუბში ფულს ჩადებს“ — განაცხადა [illegible] თავკაცმა პიეტრო კარმინიანიმ.

**ესპანური „ბილბაოს“ პრეზიდენტი ფერნანდო ლამიკიზი** [illegible] **მუნება, რომ ასიერ დელ ორნოს შესახებ ჯერ არანაირი** ოფიციალური **წინადადება არ მიუღია. შეგახსენებთ, რომ 24 წლის** [illegible] **ველით „ჩელსი“ და „რეალი“ არიან დაინტერესებულნი.** [illegible] **კლუბთან არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. თუ ვინმე** [illegible] ბით მოგვმართავს, პირველ რიგში თავად ფეხბურთელს [illegible] კებით“ — განმარტა ლამიკიზმა.

**ინგლისურ** „პორტსმუთს“ სეზონის ბოლოს ექვსი [illegible] დატოვებს — პატრიკ ბერგერი, შაკა ჰისლოპი, სტივ სტოუნი, [illegible] ფოქსი, შონ კუპერი და კრის კლარკი. „პირველ რიგში დიდ [illegible] ვუხდით ამ მოთამაშეებს, რომლებიც ძალიან დაეხმარნენ [illegible] ცვლილებები კი გუნდის ახალ თავკაც ალენ პერენის [illegible] ტიკით არის გამოწვეული“ — თქვა ლონდონელთა [illegible] დირექტორმა პიტერ სტორიმ.

**იტალიური „რომას“ რუმინელი მცველი კრისტიან** [illegible] **ტრავმას გადაურჩა. ექიმების ვარაუდი, თითქოსდა მან** [illegible] **რი დერბისას ფეხი მოიტეხა, არ გამართლდა. კივუ** [illegible] **დაშავებული, მაგრამ „ატალანტასთან“ მნიშვნელოვან მატჩს** ალბათ, **მაინც გამოტოვებს.**

**რუსული** ცსკა-ს ფორვარდმა ივიცა ოლიჩმა შესაძლოა, [illegible] თასის ფინალში ვერ ითამაშოს. ხორვატმა „ზენიტთან“ [illegible] სას ცხვირი გაიტეხა და თუ „სპორტინგის“ წინააღმდეგ [illegible] გასვლას შეძლებს, მხოლოდ დამცავი ნიღბით. „მე აუცილებლად [illegible] მაშებ. ასეთ შეხვედრებში მინდორზე მაინც უნდა გახვიდე, [illegible] სულ რომ მოგძვრეს. ჩვენ უნდა მოვიგოთ, ამისთვის კი [illegible] საჭირო, რადგანაც ერთ ბურთზე მეტს არ გავუშვებთ“ — თქვა [illegible]

**ინგლისური „არსენალის“ ფრანგმა ნახევარმცველმა** რობერ **პირესმა აღნიშნა, რომ მზად არის, კარიერა პორტუგალიაში** დაასრულოს. **მისი დამატების სურვილი ლისაბონის „ბენფიკას“** აქვს, რომელიც **მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.** „ვიცი, „ბენფიკას“ **ჩემდამი ინტერესის შესახებ და ძალიან მსიამოვნებს** კიდეც. **მამაჩემი წარმოშობით პორტუგალიელია. ასე რომ, ამ** ქვეყანაში გა**დასვლას უყოყმანოდ დავთანხმდები“ — განაცხადა** პირესმა.

**რუსული** „დინამო“ ახალი თავკაცის ძიებაშია — გასულ [illegible] ბზე, პერმის „ამკართან“ დამარცხების შემდეგ ოლეგ რომანცევმა [illegible] სტი დატოვა. „სამწუხაროდ, ფეხბურთელების ერთ მუშტად [illegible] ვერ შევძელი“ — აღნიშნა რომანცევმა.

**ფრანგულმა „მონაკომ“ ორი ფეხბურთელი დაიმატა** — „რენის“ **ნახევარმცველმა ოლივიე სორლენმა ახალ გუნდთან** [illegible] **ანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო „დორტმუნდის“** გოლკიპერი [illegible] **ვარმუზი დიდიე დეშანის გუნდში მომავალ სეზონს** არენდის წესით **გაატარებს.**

**გერმანული** „შტუტგარტის“ ბელარუს ნახევარმცველ [illegible] გლებს „არსენალი“ არ ეშვება. როგორც ამბობენ, ლონდონელები [illegible] არიან, 18 მილიონი ევრო გადაიხადონ, რაზეც „შტუტგარტის“ [illegible] სობას უარის თქმა გაუჭირდება. ყველაფერი ბუნდესლიგის [illegible] ბის შემდეგ გაირკვევა.

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ


## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | [illegible] | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | [illegible] | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 4 | [illegible] | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 15:05 | 5 | [illegible] | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:15 | 6 | [illegible] | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 41 | [illegible] | 4.1 | 3.7 | 1.6 | 1.94 | 1.15 | 1.11 |
| 21:30 | 42 | [illegible] | 3.4 | 3.4 | 1.85 | 1.7 | 1.19 | 1.19 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 57 | [illegible] | 3.4 | 3.1 | 1.95 | 1.62 | 1.23 | 1.19 |
| 21:00 | 58 | [illegible] | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 59 | [illegible] | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 21:00 | 61 | [illegible] | 1.75 | 3.3 | 3.9 | 1.14 | 1.2 | 1.78 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 60 | [illegible] | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 62 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.7 |
| 21:30 | 63 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.7 |
| 21:30 | 64 | [illegible] | 2.25 | 3.1 | 2.9 | 1.3 | 1.26 | 1.49 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 65 | [illegible] | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21:30 | 70 | [illegible] | 2.15 | 3.1 | 2.9 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 21:30 | 71 | [illegible] | 1.75 | 3.4 | 3.8 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:30 | 72 | [illegible] | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| 21:30 | 74 | [illegible] | 1.95 | 3.4 | 3.05 | 1.23 | 1.18 | 1.6 |
| 21:30 | 75 | [illegible] | 4.2 | 3.3 | 1.7 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 21:30 | 76 | [illegible] | 5.0 | 3.8 | 1.5 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 21:30 | 78 | [illegible] | 1.55 | 3.7 | 4.6 | 1.09 | 1.15 | 2.05 |
| 21:30 | 79 | [illegible] | 2.25 | 3.2 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| [illegible] | 73 | [illegible] | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 115 | [illegible] | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.05 |
| 23:15 | 121 | [illegible] | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 112 | [illegible] | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 21:00 | 113 | [illegible] | 1.35 | 4.5 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 23:00 | 114 | [illegible] | 1.7 | 3.6 | 4.5 | 1.15 | 1.23 | 2.0 |
| 21:00 | 116 | [illegible] | 3.25 | 3.5 | 1.95 | 1.68 | 1.21 | 1.25 |
| 21:00 | 117 | [illegible] | 2.15 | 3.7 | 2.7 | 1.35 | 1.19 | 1.56 |
| 21:00 | 118 | [illegible] | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 119 | [illegible] | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 21:00 | 120 | [illegible] | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 237 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 238 | [illegible] | 2.1 | 3.0 | 3.3 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:30 | 239 | [illegible] | 1.85 | 3.2 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 21:30 | 240 | [illegible] | 1.9 | 3.4 | 3.2 | 1.21 | 1.19 | 1.64 |
| 22:00 | 241 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 331 | [illegible] | 2.25 | 3.0 | 2.9 | 1.28 | 1.26 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 338 | [illegible] | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 21:00 | 339 | [illegible] | 3.5 | 3.4 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 21:05 | 340 | [illegible] | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 355 | [illegible] | 4.3 | 3.4 | 1.7 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 377 | [illegible] | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 23:45 | 378 | [illegible] | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 425 | სპორტინგი-ცსკა | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 426 | არსენალი-მანჩესტერი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 21:15 | 427 | [illegible] | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 21:15 | 428 | [illegible] | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 19:30 | 430 | [illegible] | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 431 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 449 | [illegible] | 1.25 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 2.94 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 450 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 451 | [illegible] | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 452 | [illegible] | 2.55 | 3.0 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 23:45 | 453 | [illegible] | 2.45 | 3.0 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 454 | [illegible] | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:45 | 455 | [illegible] | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 23:45 | 456 | [illegible] | 2.05 | 3.0 | 3.2 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 457 | [illegible] | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 458 | [illegible] | 2.6 | 3.0 | 2.4 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 459 | [illegible] | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 437 | [illegible] | 1.2 | 12.0 | 4.0 | 1.09 | 1.0 | 3.0 |
| 22:45 | 438 | [illegible] | 1.15 | 12.0 | 4.5 | 1.04 | 1.0 | 3.27 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 500 | [illegible] | 1.05 | 12.0 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| 22:15 | 501 | [illegible] | 1.3 | 12.0 | 3.0 | 1.17 | 1.0 | 2.4 |
| | | **18 მაისი** | | | | | | |
| 22:15 | 502 | [illegible] | 1.3 | 12.0 | 3.0 | 1.17 | 1.0 | 2.4 |
| 22:30 | 503 | [illegible] | 1.05 | 12.0 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები სენტ პოლტენი** | | | | | | |
| | | **17 მაისი** | | | | | | |
| 13:00 | 446 | [illegible] | 1.25 | 3.5 | | | | |
| 13:00 | 460 | [illegible] | 1.55 | 2.4 | | | | |
| 13:00 | 461 | [illegible] | 1.6 | 2.4 | | | | |
| 13:00 | 462 | [illegible] | 1.35 | 3.0 | | | | |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13425 | სპორტინგი-ცსკა | 1.7 | 1.9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12425 სპორტინგი-ცსკა ------ 1.6 ------------ 2.0

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზარალდება)

14425 სპორტინგი-ცსკა ------ 1.6 ------------ 2.0

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17425 | სპორტინგი-ცსკა | 1.85 | 1.95 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

16425 სპორტინგი-ცსკა ----- 1.35 ------------ 2.5

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15425 | სპორტინგი-ცსკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10425 | სპორტინგი-ცსკა | 2.35 | 2.0 | 4.0 | 1.08 | 1.48 | 1.33 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11425 | სპორტინგი-ცსკა | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.2 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ქართველებს ევროპა დაუზომბიათ



მანუჩარ მარკოიშვილი

**ყველაფერი** იქით მიდიოდა, რომ მანუჩარ მარკოიშვილს ეს უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც, ისე, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — იგი „ოლიმპიას“ რიგითი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა, თუმც თავად ეს ფაქტიც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელისთვის.

უკვე თვეზე მეტია, მარკოიშვილმა მყარად მოიკიდა ფეხი მოედანზე. ის თამაშიდან თამაშამდე იუმჯობესებდა სტატისტიკურ მაჩვენებლებს და სლოვენიის ჩემპიონატის გასულ ტურში თვალისმომჭრელად გაიელვა. „ოლიმპია“ სტუმრად ეთამაშებოდა ჰელიოსს“ და 15 ქულით იძლია, მარკოიშვილმა კი ამ მატჩში პირადი რეკორდი გამოაცხო „ოლიმპიაში“.

მანუჩარმა 31 წუთში 26 ქულა მოიმკა და უეჭველად მეტსაც შეძლებდა, 5 პერსონალურის გამო მოედნიდან რომ არ გასულიყო. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მარკოიშვილმა უდიდესი სიზუსტე გამოიჩინა და ეს 26 ქულა ისე მოაგროვა, მხოლოდ ერთი ტყორცნა აუცდა, ისიც საჯარიმო.

„მანომ“ თამაშიდან 10-ჯერ სტყორცნა და ყველა ჩააგდო — 6-დან ექვსი სამქულიანი და 4-დან ოთხი ორქულიანი. ასეთი სიზუსტე მსოფლიოში ნებისმიერ მოთამაშეს შეშურდებოდა და მარკოიშვილმა ეს „ოლიმპიას“ მაისურით გააკეთა, ანუ სადღაც დილეტანტებში კი არ თამაშობდა, არამედ ევროპული საზომით უმაღლესი დონის კალათბურთელებში.

და არ იკითხავთ, ვინ იყო ოლიმპიელთა მეორე ბომბარდირი? რა თქმა უნდა, ვლადიმერ ბოისა, მარკოიშვილის თანაგუნდელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

ეს გახლდათ ოლიმპიელთა ზედიზედ მეექვსე გამარჯვება და ისინი დაუმარცხებლად ლიდერობენ სლოვენიის ჩემპიონატს.

ლიდერთა შორისაა დავით უგრეხელიძის „პივოვარნაც“, თუმცა „მელუდეები“ ამ ტურში „სლოვანთან“ დამარცხდნენ.

უგრეხელიძემ 19 წუთი დაყო მოედანზე და გვარიანი შედეგიანობაც გამოიჩინა. მან 10-ჯერ ტყორცნა საშუალო და ახლოა დისტანციებიდან და 6 ბურთი ჩააგდო. საბოლოოდ 12 ქულა დაუგროვდა და ამ შედეგით პივოვარნელთა მეორე [illegible] გახდა 32-ქულიანი [illegible] ვოვიჩის შემდეგ. [illegible]

დიდი შედეგი[illegible] ქართველის ნაკრების [illegible] მოთამაშებლმა შემონდ [illegible] ზანის გუნდი რუსეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში როსტოვის [illegible] კომოტივს“ ხვდებოდა და [illegible] ჭიდილებით, საერთო ანგარიშით 3:2 დაამარცხა.

უილიამსი ბოლო ორი მატჩის [illegible] მბარდირი გახდა. ჯერ 25, შემდეგ კი 22 ქულა მოიხაგრა და [illegible] ლებს ნახევარფინალის საგზური [illegible] უბევა, სადაც „უნიქსს“ [illegible] სკოვის „დინამო“ ელის.

მეოთხედფინალიდან [illegible] მპიონატს „ურალ გრეიტის“ [illegible] ლმაც სრულიად [illegible] გო მოსკოვის ცსკა-სთან [illegible] მატჩში უთამაშია [illegible] ორვე ცინციძეს.

და ბოლოს, საფრანგეთის [illegible] გულარული ჩემპიონატი [illegible] ვიქტორ სანიკიძის „დიჟონი“ [illegible] ტურში ვერ მოუგო [illegible] ავრს“ და პლეი ოფს [illegible]

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ჰელიოსი | ს | 88:73 | 40 | [illegible] | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | ჰელიოსი | ს | 88:73 | 31 | 26 | | | |
| შემონდ უილიამსი | უნიქსი | სუპერლიგა (რუსეთი) | ლოკომოტივი<br>ლოკომოტივი | შ<br>ს | 109:94<br>90:70 | 38<br>39 | 25<br>22 | | | |
| გიორგი ცინციძე | ურალ გრეიტი | სუპერლიგა (რუსეთი) | ცსკა | შ | 82:106 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. (საფრანგეთი) | ლე ავრი | ს | 80:9[illegible] | 20 | [illegible] | | | |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | სლოვენიის ჩემპიონატი | [illegible] | [illegible] | 93:98 | 19 | 12 | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი, ქ — ქულა, მ — მოხსნა, [illegible]

## NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე

— 15 მაისი —

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 2:2 ინდიანა**

**ინდიანა 76:89 დეტროიტი**

**ინდიანა:** ტინსლი (17), მილერი (7), ჯეკსონი (23), ონილი (10 ქულა, 13 მოხსნა), დევისი (6); ჯ. ჯონსი (5), ფოსტერი (3), კროშერი (2), ფ. ჯონსი (2), ჯონსონი (1), გილი

**დეტროიტი:** ბილაფსი (29), ჰამილტონი (13), პრინსი (7 ქულა, 10 მოხსნა), რ. ვოლესი (17 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ბ. ვოლესი (6 ქულა, 10 მოხსნა); მაკდაიესი (12), ჰანტერი (3), აროიო (2), დიუპრე, ჰემი

# ჯერი გაუტენავი თოფიდან
## მოდაშია 2:2

**„ჩვენი** დაპირისპირება დიდებულ და დაძაბულ სერიად იქცა. საბოლოო მოგება ორივეს შეგვიძლია, მაგრამ იცით, რა ხდება, რაკი ჩემპიონები ვართ, ჩვენზე წნეხი მეტია. იმედი მაქვს, ყველაფერს გავუძლებთ“ — თქვა „დეტროიტ პისტონზის“ გამთამაშებელმა ჩონსი ბილაფსმა „ინდიანასთან“ მორიგი, რიგით მეოთხე მატჩის შემდეგ. ეს თამაში „დეტროიტმა“ მოიგო, თან საკმაოდ იოლად და სერიაში ანგარიში გაათანაბრა, რითაც მოედნის უპირატესობა დაიბრუნა. სერია შვიდ მატჩამდე რომ გაიწელოს, ჩემპიონებს დარჩენილი სამიდან ორი შეხვედრა შინ მოუწევთ.

თამამად ითქმის, „დეტროიტმა“ თავიდანვე გატეხა „ინდიანა“, პირველივე მეოთხედში მასპინძელთა მოიერიშეებს ისეთი დაცვის კედელი ამოუშენა, ამათ 19 ტყორცნიდან 18 აცილეს და როცა, როგორც იქნა, სროლები წაუვიდათ, უკვე გვიან იყო. „პისტონზმა“ 21:13 მოიგო საწყისი 12-წუთეული, დიდ შესვენებაზე 13-ქულიანი უპირატესობით გავიდა და მესამე მეოთხედში 20 ქულითაც დაწინაურდა. „ინდიანამ“ ოდნავ მიახლოება მოახერხა, ექვს ქულამდე, თუმც „დეტროიტმა“ ამას რამდენიმექულიანი გაქცევით უპასუხა და მატჩი უპრობლემოდ მიიყვანა მისთვის სასურველ დასასრულამდე.

### დასავლეთი

**სან ანტონიო 2:2 სიეტლი**

**სიეტლი 101:89 სან ანტონიო**

**სიეტლი:** რიდნორი (20), ალენი (32), დანიელსი (19), ევანსი (4), ჯეიმსი (4); უილკინსი (15), კოლისონი (3), პოტაპენკო (2), მიურეი (2), ფორტსონი

**სან ანტონიო:** პარკერი (12), ბერი (2), ბოუენი (3), დანკანი (35 ქულა, 10 მოხსნა), მუჰამედი (2); ჯინობილი (15), რობინსონი (7), უდრიჰი (6), ბრაუნი (5), ჰორი (2), ნესტეროვიჩი

**მოულოდნელად** დაიძაბა „სან ანტონიო“ —„სიეტლის“ სერიაც: პირველი ორი შეხვედრის წაგების შემდეგ „სიეტლმა“ მხნეობა მოიკრიფა და ფავორიტ „სან ანტონიოს“ შინ ანგარიში გაუსწორა.

როგორც იქნა, ხეირი ნახა „სუპერსონიქსის“ გამთამაშებელმა ლუკ რიდნორმა. ეს თეთრი ჯეელი პირველ რაუნდში „საკრამენტოსთან“ სერიაში მაიკ ბიბის დევნაში დაიტანჯა, „სან ანტონიოსთან“ კი ტონი პარკერმა გააწამა. მაგრამ ერთხელ გაუტენავი თოფიც ხომ ისვრის. რიდნორმაც წლევანდელ პლეი ოფში პირადსარეკორდო ოდენობით მოიხვეჭა ქულები, ამასთან, სწორედ საჭირო დროს იყოჩაღა. მესამე მეოთხედში 57:57 ანგარიშზე მან და რეი ალენმა 12:1 გაქცევა მოუწყვეს „სან ანტონიოს“ და ყველაფერი აქ



დირკ ნოვიცკიმ და სხვა დალასელებმა ფინიქსელ სტივ ნეშს (ბურთით) წყალში ჩაუყარეს 48 ქულა

გადაწყდა. რიდნორმა თავისი ოცი ქულიდან 15 სწორედ მესამე 12-წუთეულში მოიხვეჭა და ნამატჩევს თქვა — კიდევ მნახავთ საქმეშიო. მგონი, იმის დამტკიცება სურს, რომ გაუტენავი თოფი არ არის.

**ფინიქსი 2:2 დალასი**

**დალასი 119:109 ფინიქსი**

**დალასი:** ტერი (7), ფინლი (9), ჰოვარდი (29 ქულა, 10 მოხსნა), ნოვიცკი (25), დამპიე (13 ქულა, 11 მოხსნა); სტეკჰაუზი (22), დანიელსი (9), არმსტრონგი (5)

**ფინიქსი:** ნეში (48), ჯექსონი (11), რიჩარდსონი (13), მარიონი (19 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (15); ბარბოსა (3), მაკკარტი, ჰანტერი

**აქაც** 2:2, ესე იგი ამ სერიაშიც ყველაფერი თავიდან იწყება. „დალას მავერიკსმა“ საკუთარ დარბაზში ლილობასაც აჯობა და სეზონის საუკეთესო [illegible] ნეშის 48 ქულასაც [illegible] არასდროს ჩაუგდია [illegible] ვანდელ პლეი ოფში [illegible] გამოუჩენია ასე თავი. [illegible] ქულაც რომ მოეხვეჭა, [illegible] ალბათ მაინც ვერ მოეგო [illegible] ცრად შემართულ „დალას [illegible] კი „ფინიქსისთვის“ ნეშის ქულები კი არა, პასები უფრო [illegible] ლია. ნბა-ს საუკეთესო გამთამაშებელს სწორედ ის არ გამოსდიოდა, რამაც თვითონ და საერთოდ მთელი მისი გუნდი ასოციაციაში ყველაზე თუ არა, [illegible] ერთ საუკეთესოდ აქცია.

ნეშმა მხოლოდ 5 პასი გააკეთა და ეს მისი კი არა, მისი ყოფილი თანაგუნდელების „მადლით“, ხომ არ დაგვიწყებიათ, [illegible] გამთამაშებელი არაერთი [illegible] უძლვებოდა „დალას მავერიკსის“ შეტევებს. დირკ ნოვიცკიმ, [illegible] ჰოვარდმა, მაიკლ ფინლიმ [illegible] შის სხვა ყოფილმა თანაგუნდელებმა პირველ რიგში „ფინიქსის“ მბორგავი ცენტრ ამარე სტუდემაიერის პარპაში ალაგმეს [illegible] რქვეშ — მუდმივად ორი, ხოლო გჯერ კი სამი დალასელი [illegible] ვდა მას და სტუდემაიერმა სერიაში პირველად ვერ მოახერხა 30 ქულის ჩაგდება. სხვათა [illegible] ანად დაბორკილები [illegible] მცა „დალასმა“ შეტევაში [illegible] ლა იშოვა, არც დაცვაში [illegible] დაზარებია და მარითალი [illegible] ითქვას, გარჯა სწორედ [illegible] ნახევარზე მოიგო

**კოტე ყორშია**

# ვლადიმერ სტეფანია: ჩამოვედი, რათა დაიჯეროთ

## საქართველოს ავიახაზები ავსტრიის მეგონა...

ირაკლი პერტაია

**ვლადიმერ სტეფანია თბილისშია! შვიდწლიანი განშორების შემდეგ თანამედროვე ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფიგურა სამშობლოში ბრუნდება. ამ ხნის განმავლობაში მის ამერიკულ კარიერაში ბევრი რამ მოხდა. იყო აღმასვლის, სტაბილურობისა და წარმატების პერიოდები, თუმცა არც უიღბლობას დავიწყებია და ქრონიკულად მტკივანი მუხლის გამო ვოვამ იმხელა სიმაღლეს ვერ მიაღწია, რაც რეალურად შეუძლია.**



ბადრი კოპალეიშვილის ფოტო

**ამ** შვიდი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, სანაკრებო ჭრილში ნომერ პირველ თემას სტეფანიას ეროვნულ გუნდში ჩამოსვლა წარმოადგენდა. იყო მატჩები, რომელიც ქართველებს ვოვას დაუხმარებლადაც უნდა მოეგოთ, ხოლო როცა ნაკრებს მართლაც დასჭირდა სტეფანიას ცოდნა-გამოცდილება, მას ჯანმრთელობამ უმუხთლა.

შარშან, ფინეთ-მაკედონიასთან შეხვედრას ბევრმა არ დაიჯერა, რომ სტეფანიას რეალურად აწუხებდა მუხლი და ნაკრებს ვერ დაეხმარებოდა. თუმცა მოგვიანებით ყველამ დაინახა, რომ ვოვას ტრავმა სტანჯავდა და შუა სეზონში მან ოპერაციაც გაიკეთა, ახლა ის თბილისშია და ქართველი ექიმების დახმარებით მუხლის საბოლოოდ მოშუშებას ეშურება, რათა სექტემბერში ქართველთა ნაკრებს უპრინციპულეს მატჩებში დაეხმაროს, მანამდე კი სტეფანია თავის გეგმებსა და თბილისურ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება.

— საქართველოში იმისთვის ჩამოვედი, რომ ვიმკურნალო და ყველაფერი გავაკეთო, რათა სექტემბრისთვის ნაკრებში სათამაშოდ მზად ვიყო.

**— ახლა როგორ გაქვს მუხლი?**

— ცუდად. ძალიან მაწუხებს და ყავარჯნებით დავდივარ.

**— საქართველოში მკურნალობა რატომ გადაწყვიტე, სამისოდ ამერიკაში უფრო ხელსაყრელი პირობები არ იყო?**

— მე ალალბედზე არ ჩამოვსულვარ აქ, ყველაფერი შეთანხმებული მქონდა და ვიცოდი, ვისთან მოვდიოდი. დავით ტატიშვილის კლინიკას ამერიკიდან ვუკავშირდებოდი და იქ თითქმის ყველაფერი იციან ჩემი ტრავმების შესახებ. მე მხოლოდ მუხლი არ მაწუხებს. კოჭიც არ მაქვს მწყობრში. ჩემი ჯანმრთელობის პრობლემა კომპლექსურია და ტატიშვილის კლინიკა დამპირდა მის მოგვარებას.

**— როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს გასტანს მკურნალობა?**

— მკურნალობა ეგებ გაიგრძელდეს. მთავარი კი ისაა, როდისთვის ვიქნები მზად მოედანზე გასასვლელად. ახლა თითქმის იგივე ვითარებაში ვარ, როგორც შარშან ზაფხულში ვიყავი. ნაკრებშიც ამის გამო ვერ ჩამოვედი და მაშინ ნეგატიურად აღიქვეს ეს ამბავი. მე მაინც ვაპირებდი წამოსვლას, თუნდაც არ მეთამაშა, მაგრამ „პორტლენდის" ხელმძღვანელობამ არ დამრთო ნება, დაზღვევა არ გამიკეთა და თვითნებურად ვერ ჩამოვიდოდი.

**— რამდენი ხნით აპირებ დარჩენას?**

— მკურნალობას რამდენი ხანიც დასჭირდება. მე არაფერს დავიშურებ, რომ ფორმაში ჩავდგე და ნაკრების მაისურა მოვირგო. ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანსაც ვუთხარი, რომ თავს არ დავზოგავ, მთელ დღეს ექიმებთან და საკარჯიშო ოთახში გავატარებ, რათა მწყობრში ჩადგომა მოვასწრო. მინდა, ყველას დავანახო, რომ ნაკრების ინტერესები ჩემთვის მნიშვნელოვანია. ასე რომ არ ყოფილიყო, აქ არ ჩამოვიდოდი.

**— საკლუბო კარიერაზე რას გვეტყვი?**

— სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებში თუ ვითამაშებ, ეს დიდ ბიძგს მისცემს იმ გუნდებს, რომლებიც ჩემს აყვანას აპირებენ. არადა, ასეთებიც არიან და არაერთი. სანამ წამოვიდოდი, ნბა-ს სამმა გუნდმა გამოიჩინა ჩემდამი ინტერესი. შესაძლოა, დიდ კონტრაქტზე არავინ ფიქრობს, მაგრამ თუ რომელიმე გუნდში მოვხვდი, ეს იქნება ჩემი შანსი, გამოწვევა და მას აუცილებლად გამოვიყენებ.

**— მკურნალობა რომ გაგიგრძელდეს?**

— არა, მხოლოდ იმ გუნდების იმედად კი არ ვარ. დარწმუნებული ვარ, სხვა კლუბებიც გამოჩნდება, ოღონდ მწყობრში ვიყო. მე ნბა-ში თამაშის საკმარისი გამოცდილება მაქვს, არც სტატისტიკა დამეწუნება და მსურველებიც გამომიჩნდებიან.

**— გავრცელდა ცნობა, რომ შენით „ბარსელონა" დაინტერესდა...**

— როცა „პორტლენდმა" კონტრაქტი გამიწყვიტა, „ბარსელონა" და „პანათინაიკოსი" შემეხმიანენ, მაგრამ მოლაპარაკების დაწყებას აზრი არ ჰქონდა — ჯანზე რომ ვყოფილიყავი, „პორტლენდში" ვითამაშებდი.

**— პირობები რომ ერთნაირი იყოს, ევროპაში გიჯობს თამაში თუ ნბა-ში?**

— ალბათ ნბა-ს ავირჩევ, რადგან ამერიკულ კალათბურთთან შეგუებული ვარ. ისე, შესაძლოა, არც ევროპულ გუნდზე ვთქვა უარი. ევროლიგაში საკმაოდ კარგად ორგანიზებული გუნდები არიან. ნბა-ში არის რამდენიმე კლუბი, რომელიც მოუწესრიგებელია და იქ თამაშს ევროპაში დარჩენა მიჯობს. ისე, უარს არ ვიტყოდი, ევროპის რომელიმე წამყვანი გუნდის ლიდერობა მეკისრა. ვნახოთ, ჯერ ნადრევია ამაზე საუბარი. ფეხი მაქვს სამკურნალო.

**— „პორტლენდთან" რომ უთანხმოება გქონდა, გაარკვიე?**

— არა, ჯერაც სასამართლოშია საქმე და ივნისში ალბათ რამდენიმე დღით ამერიკაში მომიწევს ჩასვლა. „პორტლენდი" არასწორად მომექცა, სიმულიანტობა დამწამა, გუნდის მოღალატედ გამომაცხადა.

**— კონტრაქტი რა მიზეზით გაგიწყვიტეს?**

— სრულიად გაუგონარი ბრალდება წამომიყენეს და კონტრაქტიც ამის საფუძველზე გამიწყვიტეს. თითქოს მე ტრავმას ვიგონებდი იმიტომ, რომ თამაში არ მინდოდა. ოპერაციაც თურმე ტყუილად გავიკეთე და ექიმებთანაც უმიზეზოდ დავდიოდი. თუ ამ დავას ვერ მოვიგებ, სამართალი არც ამერიკაში ყოფილა და ეგაა.

**— ახლა არასპორტულ კითხვასაც დაგისვამ. კარგა ხანია, საქართველოში არ ყოფილხარ და ალბათ ბევრ ცვლილებასაც ამჩნევ...**

— 7 წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ და მაშინდელთან შედარებით, რა თქმა უნდა, ბევრ განსხვავებას ვხედავ. გზები გაუკეთებიათ, შენობები შეუღებავთ, მაღაზია-რესტორნები გაუხსნიათ და ეს ძალიან კარგია. კარგი იქნებოდა, წინსვლა მხოლოდ ვიზუალური არ ყოფილიყო და მოსახლეობის ცხოვრების დონესაც დაეტყობოდა გაუმჯობესება. სასიკეთო ძვრები, რა თქმა უნდა, არის, იმედი გაჩნდა, მაგრამ რეალობა ერთია — საქართველო ერთ-ერთი ღარიბესი ქვეყანაა. მე მანქანით დავდივარ და ხალხის სახეებს ვაკვირდები. მათ თვალებში ეტყობათ რაღაცნაირი სევდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაცა უჭირთ. სამწუხაროდ, ძალიან ბევრს აქვს ასეთი სახე.

**— ქალაქში არ გაგისეირნია?**

— ყავარჯნებით დავდივარ და ვერ ვახერხებ. მაგრამ ისედაც ვამჩნევ დადებითს, რაც თბილისში გაკეთდა... მამაჩემი მეუბნება, წამო, დიღომში წავიდეთ, ახალი სუპერმარკეტი გაიხსნა და განახებო. მაღაზიის, რესტორნის, სტრიპტიზ-ბარის გახსნა არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო დალხენილი ქვეყანაა. ჩვენ ერთი 20 წელიწადია მაინც გვინდა, ევროპის დონემდე რომ მივიდეთ. ისე, რა პოლიტიკოსივით ვლაპარაკობ...

**— არა, საკმაოდ საინტერესოა, განაგრძე... გვითხარი, რა მოგეწონა ყველაზე ძალიან...**

— ჰაერშივე ვიგრძენი, რომ საქართველო აღმშენებლობის გზაზეა დამდგარი. თბილისში „საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავით ჩამოვფრინდი და კარგა ხანს მეგონა, „ავსტრიის ავიახაზებს" მოვყვებოდი. ჯერ ერთი, ლოგო ჰგავს ძალიან და თან კომფორტიც ისეთი იყო, მსოფლიოს წამყვან ავიაკომპანიებისგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ერთ მაგალითს მოვიყვან, თუ არ მოგაწყენ...

**— არა, განაგრძე...**

— ცოტა ინტიმური თემაა. მე საერთოდ საპირფარეშოში არ დავდივარ თვითმფრინავით მგზავრობისას, ახლა კი შევედი. იქ ისეთი სისუფთავე დამხვდა, ფეხშიშველაც რომ შესულიყავი, არაფერიც არ დაშავდებოდა. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ევროპისკენ მივდივართ და არა მხოლოდ ცხოვრების დონით, იმედია, კალათბურთის განვითარების მხრივაც.



ბადრი კოპალეიშვილის ფოტო




ვლადიმერ სტეფანიას სიარული უჭირს, მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე პრესკონფერენცია მაინც მოაწყო

### საქართველოს ჩემპიონატი. ვარიანი. *12-15 მაისი*

# ვარიანში ლაზათიანი მუშტის ქნევა იყო

**გორის** რაიონის სოფელ ვარიანში ქართულ კრივში მოტრფიალე ხალხი შეიყარა და საქართველოს ჩემპიონატი გაჩაღდა. რინგზე თითქმის ყველა უძლიერესი ავიდა გარდა ოლიმპიადამოვლილი ნიკოლოზ იზორიასა და კონსტანტინე კუპატაძისა. ეროვნული ნაკრების თავკაც თენგიზ მესხაძის სურვილისა და მოთხოვნის მიუხედავად, მათ ტრავმების ბოლომდე მოშუშება ვერ მოასწრეს, თუმც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები უკვე დაჯავშნული აქვთ.

„ვარიანული შეჯიბრის უმთავრესი დატვირთვა სწორედ ნოემბერში, პეკინში წამსვლელი შემადგენლობის გამოკვეთა იყო — გვითხრა გუშინ მესხაძემ — ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩატარდა და როგორც საორგანიზაციო საკითხებით, ისე ნაკრების კანდიდატების გამოსვლით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. თუ ადრე იყო წონები, რომლებშიც კონკურენცია არც იგრძნობოდა, ახლა თითქმის ყველა წონაში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის სპორტსმენი გამოჩნდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის შემადგენლობა უკვე თითქმის გამოკვეთილია, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას მაინც არ ვჩქარობ. ვიდრე წინასაპეკინო შეკრებებს დავიწყებდეთ, ალბათ ერთი-ორი საერთაშორისო ტურნირიც მოესწრება და ბოლო სიტყვასაც მათი დასრულების შემდეგ ვიტყვი. სამწუხაროდ, იზორიამ და კუპატაძემ ვარიანში ვერ იკრივეს, მაგრამ ისინი თავიანთ წონებში მაინც გამოკვეთილი ლიდერები არიან და არა მგონია, მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვონ".

**ოთარ მაღლაკელიძე**



**48 კგ**
1 ზვიად ხადური (თბილისი)
2 ვახტანგ წინამძღვრიშვილი (გორი)
3 ალექსანდრე ჩეჩელიანი (ახალქალაქი)
3 დავით მუსტაფაევი (რუსთავი)

**51 კგ**
1 კობა იაკობიძე (ქუთაისი)
2 გიორგი ჯაჭვაძე (გურჯაანი)
3 გიორგი გაჩეჩილაძე (ქუთაისი)
3 გიორგი ასათიანი (ქუთაისი)

**54 კგ**
1 კობა ფხაკაძე (ქუთაისი)
2 აკაკი წერეთელი (ჭიათურა)
3 კახა ტოკლიკიშვილი (დედოფლისწყარო)
3 მალხაზ სუჯაშვილი (ვარიანი)

**60 კგ**
1 ლაშა ოჩიგავა (ფოთი)
2 ლადო კაპანაძე (ჭიათურა)
3 ნუკრი მარგველაშვილი (საჩხერე)
3 უშანგი რურუა (თბილისი)

**64 კგ**
1 ლევან ლვამიჩავა (ფოთი)
2 კობა ქარქაშაძე (ფოთი)
3 ვასილ ყაზიშვილი (გორი)
3 არმენ სუკასიანი (თბილისი)

**69 კგ**
1 კახა ჟვანია (ფოთი)
2 გიორგი ნაკანი (მესტია)
3 შალვა ჯომარდაშვილი (ვარიანი)
3 პეტრე ჯანგავაძე (ქუთაისი)

**75 კგ**
1 ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა)
2 რეზო ქარელიშვილი (გორი)
3 ლევან მეზვრიშვილი (გორი)
3 ირაკლი გაბუნია (ფოთი)

**81 კგ**
1 დავით წიკლაური (თბილისი)
2 დავით შათირიშვილი (თელავი)
3 ირაკლი ბილისეიშვილი (თბილისი)
3 თორნიკე იველაშვილი (თბილისი)

**91 კგ**
1 ბექა ლობჟანიძე (გორი)
2 მირიან სუხიშვილი (თბილისი)
3 სერგო მისირელი (მცხეთა)
3 ვენედი კაზარიანი (ახალქალაქი)

**+91 კგ**
1 გაგა ბოლქვაძე (ქუთაისი)
2 ირაკლი ჭანტურია (ფოთი)
3 რობერტ ოთხოზორია (ზუგდიდი)
3 თამაზ ჯაოევი (თბილისი)





# მახაჩყალური ოქროს ამბავი

**რუსეთიდან** საქართველოში მობრუნებულმა და მოქალაქეობამიღებულმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ, მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი გოგშელიძემ (96კგ) ამ უქმეებზე რუსები გვარიანად გაამწარა. მახაჩყალაში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ქართული დროშის ქვეშ პირველი ოქროს მედალი მოიგო, თუმც მთავარი ამბავი საწყის ეტაპზევე მოხდა. ჩვენი დიდი მეზობლების ლეკ ჯილას, ათენის ოლიმპიურ ჩემპიონ ჰაჯიმურატ გაცალოვს გადაეყარა და დამწუხრებულიც დატოვა.

წლეულს გაცალოვმა მეორედ წააგო. ცნობისთვის — პირველი მარცხი ევროპის ჩემპიონატზე ლუკა კურტანიძემ აგემა. გოგშელიძის ოქრო გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ გვახარა. იგი რუსეთში გუნდს პირადი პრობლემების გამო ვერ გაჰყვა და ტურნირის პერიპეტიები ტელეფონით შეუტყვია. თურმანიძისგანვე მოწოდებული ინფორმაციით, 55 კილოგრამში მოჭიდავე გოჩა კირკიტაძემ მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო რევაზ მინდორაშვილსა (84 კგ) და ვლადიმერ გეგეშიძეს (96 კგ) მედლისკენ მიმავალი გზა ტრავმებმა გადაუ[illegible]

საქართველოს ნაკრები [illegible] სში დღეს ხალამის [illegible] და ერთ თვეში „სპორტის [illegible] ლეში" გასამართი ვახტანგ [illegible] ვაძის სახელობის ტრადიციული [illegible] ერთაშორისო ტურნირისთვის [illegible] იწყებს მზადებას

ბოლოს ისევ გოგშელიძე [illegible] რუნდებით და ვეტყვით, რომ საქართველოს ნაკრების სახელით [illegible] ობის ოფიციალური [illegible] არც რუსეთიდან [illegible] საერთაშორისო [illegible] ვარაუდოდ, უქმეებს [illegible] თებერვლამდე უნდა [illegible] ყო, მაგრამ ნიჭიერი [illegible] ტურნირი გამოცდილების [illegible] ნებლად რუსეთში [illegible] და შინ ოქროთიც [illegible]

ახლა მთავარი [illegible] ძნელი საიქმელია, როგორ [illegible] მაურებიან გიორგის „მახაჩყალურ" ჭიდაობის მთავარ [illegible] დერაციის ჩინოსნებმა [illegible] ლი ფულად სანქციას [illegible] ტყველებს, მეორენი [illegible] მედლის ჩამორთმევას [illegible] გუშინ ცუდი არავის [illegible] ყველა გამარჯვებით ხარობდა [illegible]

**ოთარ მაღლაკელიძე**



### საქართველოს ჩემპიონატი. *10-12 მაისი*

# ქალებმაც ხელი ხმალს იკრეს

## ქუთაისური დებიუტი

**სეზონის** ერთ-ერთი უმთავრესი შეჯიბრი ქართველ მოფარიკავეთათვის ერთ თვეში მოსკოვში ჩატარდება. რუსეთის დედაქალაქი დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების საერთაშორისო სპორტულ თამაშებს უმასპინძლებს და მასზე დაახლოებით თხუთმეტი ჩვენი მოფარიკავე ჩავა. ასაკი შეზღუდული იქნება — 1986 წელს და შემდეგ დაბადებულები, საბოლოო შემადგენლობა კი მანამდე ჩასატარებელი რამდენიმე შიდა და საერთაშორისო ტურნირით დაკომპლექტდება.

10-12 მაისს საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც მედლები ექვსივე დისციპლინაში გათამაშდა. სიახლე ქალთა ხმლით ფარიკაობა იყო, რომელიც შედარებით ახალი ხილია, ოლიმპიურ პროგრამაშიც კი პირველად ათენის შარშანდელ თამაშებზე შეიტანეს, ხოლო საქართველოში აქამდე არასოდეს გამოეცადათ.

სადებიუტო შეჯიბრით ყველაზე მეტად ქუთაისელებმა ისარგებლეს, სამეული მთლიანად იმერელმა ქალებმა შეავსეს.

ჩემპიონატში რამდენიმე ისეთმა მოფარიკავემაც იყოჩაღა, ასაკის გამო მოსკოვში რომ ვერ წავა. სარუსეთო განაცხადისთვის მებრძოლთა შორის საქართველოს პირველობა 21-23 მაისს გაიმართება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| კაცები | ქალები |
|---|---|
| **რაპირა** | |
| 1 ირაკლი ჭელიძე (აჭარა) | 1 ნატო კობიაშვილი (თბილისი) |
| 2 თემურ გორდაძე (ქუთაისი) | 2 რუსუდან წირქვაძე (თბილის) |
| 3 გიორგი გრიგოლია (აფხაზეთი) | 3 თინათინ ბოლქვაძე (აჭარა) |
| 3 სანდრო სიხარულიძე (თბილისი) | 3 მადონა ჩაბრაძე (თბილისი) |
| **ხმალი** | |
| 1 ირაკლი ზამბაძიხე (აჭარა) | 1 ანა ფორჩხიძე (ქუთაისი) |
| 2 გიორგი ბახსოლიანი (თბილისი) | 2 თეონა ყვავაძე (ქუთაისი) |
| 3 კახა მაღრაძე (თბილისი) | 3 ლელა ხიჯაკაძე (ქათაისი) |
| 3 დავით მთვარელიძე (თბილისი) | 3 ნინო ასათიანი (ქუთაისი) |
| **დაშნა** | |
| 1 დავით ელბაქიძე (თბილისი) | 1 ანა აბრამიშვილი (ქუთაისი) |
| 2 გიორგი ნაცვლიშვილი (ქუთაისი) | 2 ქეთი სილაგაძე (თბილისი) |
| 3 დავით არველაძე (ქუთაისი) | 3 ალექსანდრა ანანიაშვილი (აჭარა) |
| 3 მამუკა მახაშვილი (თბილისი) | 3 ნათია ჩუბინიძე (ქუთაისი) |



# ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი


დეივ ზაბრისკის შავ-თეთრი ქალები ეამბორნენ

მოულოდნელად დასრულდა „ჯირო დიტალიას“ მერვე ეტაპი, რომელიც, მართალია, მხოლოდ 45 კილომეტრი სიგრძის გახლდათ და ზოგიერთი მრბოლი ერთ საათში ჩაეტია, მაგრამ სხვა, ხუთსაათიან ეტაპებს შრომატევადობით თუ არ ალემატებოდა, არც ჩამოუვარდებოდა. ეს იყო ინდივიდუალური რბოლა, ანუ ჯიროს ყველა მონაწილე მარტოდმარტო, სხვათა დაუხმარებლად შეეჭიდა ტოსკანის წარმტაცი მხარის საშინელ გზატკეცილს.

# საშინელ გზაზე უცნობი ამოტივტივდა

**ყველას** აჯობა შედარებით ნაკლებად ცნობილმა და საერთო ჩათვლის სიის სიღრმეში ჩაკარგულმა დეივ ზაბრისკიმ. ამ 26 წლის ამერიკელმა გზას 58,5 წუთი დაახარჯა და ნარბოლევს ისე იყო გათანგული, ძლივს ლაპარაკობდა — „ძალიან ძნელი ეტაპი იყო. ასეთი სირთულის ინდივიდუალური ეტაპები „ტურ დე ფრანსზე“ გვხვდება, სადაც უკვე პირველ კილომეტრებში გიწევს გორაკთან შეჭიდება, საფინიშო კილომეტრები კი ლარივით სწორ გზაზე გადის და თუ ბოლომდე არ დააწექი პედლებს, საერთოდ არაფერი შეგხვდება.“

გამარჯვებული ამ წარმატებას სრულიადაც არ თვლის მოულოდნელად. თურმე ის რამდენიმე თვის წინ სწორედ ტოსკანაში ვარჯიშობდა და აქაური გზები ისევე კარგად იცის, როგორც სოლტ ლეიკ სიტისა, საიდანაც გახლავთ წარმოშობით.

ზაბრისკის მხოლოდ 17 წამით ჩამორჩა მისი თანაგუნდელი, გუნდ CSC-ს ლიდერი ივან ბასო და ვინაიდან მან გვარიანად გაასწრო დამიანო კუნეგოს, დანიელო დი ლუკას და საერთო ჩათვლის სხვა ყოჩებს, გვარიანადაც აიწია ჯიროს ჩემპიონობისთვის მოდავეთა სიაში. ახლა ბასო მხოლოდ 9 წამით ჩამორჩება დი ლუკას და თავისთავად მშვენიერი შანსიც გაუჩნდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჯიროს გრძელ გზაზე მრბოლებს კიდევ შეხვდებათ ანალოგიური ეტაპი.

**კოტე ყორშია**

### მე-8 ეტაპი. 15 მაისი. ლამპორეჩიო — ფირენზე. 45 კმ

| | |
|---|---|
| 1 დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) | 58 წთ, 31 წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +17 წმ |
| 3 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | +44 წმ |
| 4 მარციო ბურსეგინი (იტალია, ფასა ბორტოლო) | +48 წმ |
| 5 სერგეი გონჩარი (უკრაინა, დომინა ვაკანზე) | +51 წმ |
| 10 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 35 წმ |
| 11 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 56 წმ |
| 12 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 56 წმ |
| 16 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | +2 წთ, 24 წმ |
| 23 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | +2 წთ, 52 წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | 36 სთ, 6 წთ, 47 წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +9 წმ |
| 3 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | +35 წმ |
| 4 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | +1 წთ, 15 წმ |
| 5 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 27 წმ |
| 6 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 36 წმ |
| 7 მარციო ბრუსეგინი (იტალია, ფასა ბორტოლო) | +1 წთ, 38 წმ |
| 8 სერგეი გონჩარი (უკრაინა, დომინა ვაკანზე) | +1 წთ, 39 წმ |
| 9 მარკუს ფოტენი (გერმანია, გეროლშტეინერი) | +2 წთ, 10 წმ |
| 10 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | +2 წთ, 11 წმ |



## საქართველოს XV ჩემპიონატი

### პირველი ფინალური წრე

# თბილისი თელავს ვერ გადაურჩა

**შევარდენი 46:30 მამული**

**სტუ-შევარდენი:** რუსია (გაიტანა 19 გოლი), კობახიძე (11), ტალახაძე (5)

**საუ-მამული:** წივწივაძე (12), კობახიძე (9), მაისურაძე (3)

**თელავი 29:27 ხ/კ თბილისი**

**თელავი:** ჯიშკარიანი (13), ნატროშვილი (7), მეტრეველი (5)

**თბილისი:** სამარღანიშვილი (11), გელაშვილი (5), სიორიძე (5)

**ქუთაისი 27:25 ქარიშხალა**

**ქუთაისი:** მამასახლისი (7), ჩუბინაშვილი (5), გობეჯიშვილი (5)

**ქარიშხალა:** ქირია (10), საჯაია (5)

**გუშინ** თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე, დასკვნითი წრე.

გუნდები ხუთ-ხუთ მატჩს გამართავენ და ჩემპიონ-პრიზიორებიც გაირკვევიან. ეგაა, ეს უფრო საბრინჯაო ჭიდილს ეხება, რადგან ტურის დაწყების წინ საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ სამი ქულით უსწრებდა „ხელბურთის კლუბ თბილისს“ და მორიგი ტიტულიც პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდა.

რაც შეეხება მესამე პრიზიორობას, რეალური შანსი ორ გუნდს ჰქონდა — აგრარული უნივერსიტეტის „მამულს“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალას“. მაგრამ გუშინ მოედანზე ისეთი ამბები დატრიალდა, სამედლო ვარიანტი „თელავსაც“ გაუჩნდა.

„თბილისთან“ თელაველთა მატჩით დავიწყოთ. ნახევარი ტაიმი ბურთი ბურთში მიდიოდა, მერე კი კახეთის საუკეთესო გუნდი სამით გაიჭრა წინ — 11:8. მაგრამ შემდეგ, დედაქალაქელებმა სამ წუთში ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს და თავად დაწინაურდნენ — 12:11, თუმც მორიგი, სამბურთიანი სერიით ტაიმი მაინც „თელავმა“ მოიგო — 14:12.

შესვენების შემდეგ სხვაობა ხუთამდე გაიზარდა — 20:15, 27:22, მაგრამ შემდგომ თელაველები „ჩავარდნენ“, ცხრა წუთი გოლი ვერ გაიტანეს, თავიანთ კარში კი ხუთი მიიღეს და თანაფარდობა აღსდგა — 27:27. თითქოს გარდატეხა აშკარა იყო, მაგრამ ბოლო წუთებზე ვახტანგ ჯიშკარიანის ორი ზუსტი პენალტით „თელავმა“ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

აღსანიშნავია მათი მეკარის ავთანდილ ქედენტის ბრწყინვალე თამაში, აგრეთვე ორივე მხრიდან მთავარმეგოლეების შეღეგიანობა.

მეორე „ცხელი“ თამაშის მიზეზი „ქუთაისია“, რომელიც მყარადაა მეექვსე ადგილზე და წინსვლის პერსპექტივაც არ უჩანს. და მაინც, ქუთათურებმა შესაშური მონდომებით იბრძოლეს „ქარიშხალასთან“, რომ იტყვიან, მოგება კბილებით გამოჰგლიჯეს ძლიერ მეტოქეს და იქნებ მედლებიც დააკარგვინეს. ჩვეულად ჩინებულად დაიცვა კარი დავით ხინგავამ, რომელმაც არაერთი აუღებელი ბურთი აიღო, შეტევაში გამოირჩეოდნენ ეროსი მამასახლისი და მალხაზ ჩუბინაშვილი, ხოლო თამაშს, როგორც ყოველთვის, უნარიანად წარმართავდა კაპიტანი დავით გობეჯიშვილი.

ლიდერ შევარდნელთა მორიგ გამარჯვებაში ამჯერადაც აღვნიშნავთ ჩემპიონატის ბომბარდირ ვლადიმერ რუსიას, რომელმაც 19-ჯერ გაუტანა „მამულს“ და უკვე 412 გოლამდე გაზარდა გიორგი წივწივაძესთან უპირატესობა. მესამე საფეხურზე გორელი გოჩა მშვიდობაძეა 184 გოლით.

დღეს ერთმანეთს ხვდებიან „ხ/კ თბილისი“ — „საუ-მამული“, „სტუ-შევარდენი“ — „ქუთაისი“ და „ქარიშხალა“ — „თელავი“. თამაშები სტუ-ს დარბაზში 12 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**

### სატურნირო ვითარება

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 22 | 0 | 1 | +321 | 44 |
| თბილისი | 19 | 1 | 3 | +97 | 39 |
| საუ-მამული | 13 | 1 | 9 | +196 | 27 |
| ქარიშხალა | 12 | 1 | 10 | +26 | 25 |
| თელავი | 11 | 0 | 12 | 29 | 22 |
| ქუთაისი | 9 | 1 | 13 | -44 | 19 |



# კინკილა სეტის წაუგებლად

## ფედერერმა მოი-ციმციმ-რევანშა

**მასტერსერია**
**ჰამბურგი. თიხნარი**
**საპრიზო 1,87 მლნ €**
**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:3 7:5 7:6 (7:4)**

**საქმეში** ჩახედული ხალხი ელოდა, რომ 18 წლის ფრანგი რიშარ გასკე, ვინაც ამქრის პირველოსანს ორიდან ერთი მარცხი აგემა (მონტეკარლოური მასტერსის მეოთხედფინალში), როჯერ ფედერერს ამჯერაც ფიცხელ ბრძოლას გაუმართავდა. გარნა ამგვარი რამ არ მოხდა და სწორუპოვარმა შვეიცარიელმაც წლის მეექვსე, ხოლო კარიერის 28-ე ტიტული ორ საათსა და 13 წუთში მოი-ციმციმ-რევანშა.

შეგახსენებთ, რომ ეს მისი ზედიზედ მე-19 (!!) მოგებული ფინალია და, რაკილა ყოველგვარმა შედარებამ უკვე აზრი დაკარგა, მხოლოდ იმასღა შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად მან 2003 წლის გშტაადობის ფინალში დათმო ჩეხ ირჟი ნოვაკთან.

სხვაფრივ — გასკეს ძლევამ როჯერის საამსეზონო მონაგარი ორი მარცხის წილ 41-მდე გაზარდა და ამ მაჩვენებლით ის რაფაელ ნადალს გაუტოლდა, რომელსაც — აქვე უნდა ვქთვათ — მასზე მეტი, ექვსი მარცხი აქვს ნაგემი.

აღსანიშნია ისიც, რომ, უკეთუ ჰამბურგობის დაწყებამდე მალიორკელი ყმაწვილი ჩემპიონთა რბოლაში მოლიდერე ფედერერს ათ ქულამდე მიუახლოვდა, ამ უკანასკნელის მიერ ტიტულის დაცვის მერე მათ შორის სხვაობა უკვე 110 ქულას შეადგენს.

კიდევ — როჯერმა ბოლო ათი მასტერსტურნირიდან უკვე მეექვსე მოიგო და ჯამში შვიდი მასტერსტიტული დაიგროვა. წლეულს ამ რანგის ტურნირებიდან მის ანგარიშზე ინდიანუელსური, მაიამური და ბერლინური ტიტულებია. როლანგაროსამდე ექვსი ტიტულით კი უკვე კაი ხანია, ალარავინ მისულა. ბოლო პიტ სამპრასი გახლდათ, ვინაც 1994 წლის მეორე სლემტურნირს შვიდი სკალპით უწია.

და ბარემ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ჰამბურგობა ფედერერმა კინკილა სეტის წაუგებლად მოიგო.

**ITALIA MASTERS**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მლნ $**
**ფინალი**

**ამელი მორეზმო (2, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (8, შვეიცარია) 2:6 6:3 6:4**

**თავის** მეხუთე რომაულ ფინალში მოსარჯე ამელი მორეზმომ ზედიზედ მეორედ შეძლო, როლანგაროსობისწინა უბობოლესი ტურნირი აეოხრებინა. არადა, უცნაურია, რომ ამის მიუხედავად, ამ ჯანიანმა ფრანგკოგომ ჯერ ერთხელაც ვერ მოახერხა, როლანგაროსობის მეოთხედფინალს გასცილებოდა. ამიტომ ახლა მის მიერ ფინალში ძლეული პატი შნიდერიც კი იმედოვნებს, რომ ნავსის გატეხვა ამელის ამ ჯერზე მაინც გამოუვა.

ისე კი — ეს მისი მეორე საამსეზონო და მეჩვიდმეტე საკარიერო ტიტული გახლავთ.

**ლევან ძელაურაძე**


ამელი მორეზმო

## მ-ტელ მასტერსის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. *11 - 22 მაისი*

**IV ტური**

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) 0,5:0:5
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5




# პოლგარმა და ანანდმა მეფეები დაიტოვეს

**მეოთხე** ტურში სამივე პარტია ყაიმით დასრულდა და სატურნირო მდგომარეობა არ შეცვლილა. ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი კვლავ ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს ოთხ მდევარს ნახევარი ქულით უსწრებს.

ალბიონელმა მოჭადრაკემ მეტსახელად ადამიან-ობობამ ფიდეს ექსჩემპიონ პონომორიოვთან ჩამოაგდო ზავი.

დიდოსტატებმა კარო-კანის დაცვა გაითამაშეს, უკრაინელმა ყოჩაღად დაიწყო შეხვედრა, საწყის სვლებშივე ფიგურა გაუცვალა ინგლისელს და მსუბუქი ფიგურებით მიაწვა. ადამსმა მტერს შეტევითვე უპასუხა, საომრად ლაზიერი გაუშვა და გაუცვალა. შეტაკებებისას დაფა საგრძნობლად დაცარიელდა, ამიტომაც ადამსმა პარტიის გაგრძელება აღარ ისურვა, ეტლით შავ მეფეს სამჯერ დაემუქრა, სვლები გაამეორებინა და 27-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადა.

70 სვლა გაგრძელდა მსოფლიოს საუკეთესო ვაჟისა და მანდილოსნის შეხლა. პოლგარმა და ანანდმა თავიდანვე ფიგურების გაცვლას მიჰყვეს ხელი, რამდენიმე მეომარი დაუხოცეს ერთმანეთს და იერიშებისთვის მზადებას შეუდგნენ.

შეტევა პოლგარმა მარჯვენა ფლანგიდან დაიწყო, ლაზიერით მტრის ბანაკში შევარდა და მე-16 სვლაზე ხარისხი მოიგო. ანანდმა საპასუხოდ თეთრ ხელმწიფეზე მიიტანა იერიში და ხარისხი გაათანაბრა. უპირატესობის დაკარგვამ, ცხადია, მადიარი მანდილოსანი გაანაწყენა, მთელი ძალებით მიაწვა ინდოელს, მისი ფიგურების ხოცვას შეუდგა და დაფა საგრძნობლად მოასუფთავა. მეტოქეებმა პაიკების გაყვანისთვის დაიწყეს ზრუნვა, თუმც ამ ბრძოლაში ერთმანეთის ყველა ფიგურა შემოაკვდათ და 70-ე სვლაზე დაფაზე მხოლოდ ხელმწიფეები დარჩნენ, პარტიაც ყაიმით დასრულდა.

წინა ტურში დამარცხებულმა კრამნიკმა მასპინძელ დიდოსტატ ვესელინ ტოპალოვს გაუყო ქულა. სლავმა დიდოსტატებმა რუსული პარტია გაითამაშეს და 47-ე სვლაზე დაასრულეს.

**ლაშა გეგეჭკორი**


ადამსი და პონომარიოვი 27-ე სვლაზე დაზავდნენ


პოლგარს და ანანდს 70-ე სვლაზე მეფეები შერჩათ

| | | |
|---|---|---|
| 1. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2,5 ქულა |
| 2. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2 |
| 3. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2 |
| 4. | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2 |
| 5. | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 2 |
| 6. | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 1,5 |



## მსოფლიოს ჩემპიონატი. *ვენა–ინსბრუკი*

# ჩეხეთი ჩემპიონია, იაგრი კი ყველაფრის მომგები

**მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს. კანადასთან ფინალში დამაჯერებლად მოგებით ჩეხეთმა ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაიბრუნა ჩემპიონობა და მსოფლიოს თასზე სახელ მარცხზეც შური იძია. ვერავინ იტყვის, რომ მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონი არ ჰყავს. ჩეხებმა ტურნირი ყველაზე შთამბეჭდავად ჩაატარეს და ფინალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მათი სიძლიერე.**


იაროსლავ სპაჩეკმა მსოფლიოს თასი აიტაცა

### ფინალი

**ჩეხეთი — კანადა**

*3:0 1:0 2:0*

1:0 პროსპალი (5); 2:0 რუჩინსკი (44), 3:0 ვასიჩეკი (60)

**ჩეხეთი:** ვოკოუნი; შლეგრი — ტ. კაბერლე, შპაჩეკი — კუბინა, ჟიდლიცკი — ფიშერი, ფ. კაბერლე — ჰეიდა; იაგრი — პროსპალი — სტრაკა; დვორჟაკი — ჩაიანეკი — რუჩინსკი; ჰემსკი — ვიბორნი — ჰლავაჩი; სიკორა — ვასიჩეკი — ვრბატა.

**კანადა:** ბროდო; რედენი — ფილიპსი, სურეი — ჰენანი, ჟოვანოვსკი — რეგერი, ბოილი; ნეში — ტორნტონი — განიე; სმიტი — მორისონი — ჰიტლი; მოროუ — მარლო — უოკერი; მოლტბი — დრეიპერი — დოუნი.

**იარომირ** იაგრი ჭეშმარიტად დიდი მოთამაშეა. თავის დროზე ნჰლის უდავოდ საუკეთესო ფორვარდად აღიარებულ ჩეხს ბოლო ხანებში ბედი არც ლიგაში სწყალობდა და არც საერთაშორისო ტურნირებზე. შესაძლოა, მას კლუბის გამოცვლა არ მოუხდა, ასაკიც ხომ თავისას აკეთებს... იაგრი ძველებურად სწრაფი და ენერგიული აღარ არის, მაგრამ წლებმა სუპერჩეხს სიბრძნე და მოედნის შესანიშნავი ხედვა მოუტანა. ამ პირველობაზე იაგრმა თავი გამოიჩინა როგორც ბრწყინვალე პლეიმეიკერმა. ვინც იცის, როგორ დასრულდებოდა ფინალური მატჩი, რომ არა ჩეხთა ლიდერის საუცხოო პასები, რომელთა შემდეგ ერთი შეხედვით სრულიად უსაფრთხო ვითარება კანადელთათვის უბედურების მომტანი ხდებოდა. იაგრის პარტნიორებს მისი ყველა გენიალური ჩანაფიქრი რომ განეხორციელებინათ, ანგარიშში სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა. თუმც ორი მომენტის გამოყენებაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა...

თამაში ორივე გუნდმა საკმაოდ ფხიზლად დაიწყო. ეს ერთობ მოულოდნელი იყო როგორც ყოველთვის აგრესიული კანადელების, ასევე ჩეხებისგან, რომლებიც ამ ტურნირზე შემტევ ჰოკეის თამაშობდნენ. ცხადია, ამან კვალი დააჩნია ჰოკეისტთა ქმედებას და ამ ვითარებაში როგორღაც მოულოდნელი იყო ჩეხების აფეთქება. ბორტთან საშუალო სიჩქარეზე მოსრიალე იაგრმა რაღაც ზეინტუიციით გამოძებნა კართან უმეთვალყურეოდ დატოვებული მარტინ რუჩინსკი, რომლის დარტყმის შემდეგ შაიბა ძელს მოხვდა, ხოლო დამატებაზე კვლავ პროსპალმა იხეირა. მატჩის მსვლელობაში გარდატეხა არც ამის შემდეგ მომხდარა.

კანადელები თითქოს ოდნავ გააქტიურდნენ, მაგრამ მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა. აშკარად ჩანდა, რომ კანადელებს ძალა გამოელიათ. ხუმრობაა, ერთბაშად 14 მათგანს წლეულს სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა! ჩეხებმა კი თავიანთი საფირმო დაცვითი ჰოკეი გაიხსენეს, მათ ხომ ყოველთვის ეხერხებოდათ ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში. ჩეხთა მეკარე ტომაშ ვოკოუნს სერიოზული დატვირთვა პრაქტიკულად არ ჰქონდა და თანდათან ნათელი გახდა, რომ თუ ერთ გოლს კიდევ გაიტანდნენ, მატჩის ბედი გადაწყდებოდა. იაგრსაც ეს უნდოდა.

მესამე პერიოდის დასაწყისში, კვლავ ისეთივე უწყინარ ვითარებაში მან მორიგი ფანტასტიკური პასით ისევ რუჩინსკი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე და ამჯერად ჩეხთა 26-ე ნომერმა უძლიერესი დარტყმით თავად გაიტანა. 2:0 და, როგორც ჩანს, კანადელებმაც იგრძნეს, რომ ზედიზედ მესამე ოქროს ველარ ნახავდნენ და მათთვის ჩვეულ მეტოქის პროვოცირების ტაქტიკასაც კი მიმართეს, მაგრამ ჩეხებმა სიმშვიდე შეინარჩუნეს და საქმე ბოლომდე მიიყვანეს. მარტინ ბროდოს მეექვსე მოთამაშეზე შეცვლამაც ვერ გამოიღო ნაყოფი. პირიქით, იოზეფ ვასიჩეკმა საკუთარი კარიდანვე გაიტანა და მატჩს ეფექტური წერტილი დაუსვა.

შეხვედრის შემდეგ ჩეხთა თავკაცი ვლადიმირ რუჟიჩკა ლაკონიური იყო:

„რა თქმა უნდა, უზომოდ ბედნიერი ვარ. ეს ჩემი პირველი მსოფლიოს ჩემპიონატია. და აი, ასეთი დიდი წარმატება. ისე, რუსებთან ალბათ უფრო გაგვიჭირდებოდა".

„მეტოქე ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო და დამსახურებულად მოიგო" — აღიარა კანადელთა მწვრთნელმა მარკ ჰებშეიდმა.

დაბოლოს, იაგრის ესოდენ დიდი მოწადინების საიდუმლოც ვამხილოთ. ბრწყინვალე ჩეხს აქამდე ოლიმპიადაც მოეგო, სტენლის თასიც და მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროლა აკლდა. ამიერიდან იაგრს საწუწუნო აღარაფერი ექნება.

### მე-3 ადგილისთვის მატჩი

**რუსეთი — შვედეთი**

*6:3 3:2 3:0 0:1*

1:0 აფინოგენოვი (2), 2:0 აფინოგენოვი (4), 2:1 რ. სუნდინი (9), 3:1 კოვალიოვი (16), 3:2 ზეტერბერგი (20), 4:2 ოვეჩკინი (22), 5:2 იაშინი (26), 6:2 სიომინი (29), 6:3 ჰ. სედინი (43)

**როგორც წესი,** მესამე ადგილებისთვის მატჩში ანუ ეგრეთ წოდებულ „მანუგეშებელ ფინალში" პირველ პლანზე ფსიქოლოგიური ფაქტორი გამოდის, თამაშმა აშკარად ცხადყო, რომ რუსებმა გაცილებით იოლად გადახარშეს ნახევარფინალში წაგება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არანაკლებ დრამატულ ვითარებაში დამარცხდნენ, თანაც ისიც უნდა ვთქვათ, რომ შვედებს დასვენებისთვის ნაკლები დრო ჰქონდათ.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსები ბოლო წლებში მედლებს დიდი გაჭირვებით იგებენ (ოქროზე ხომ 1993 წლიდან არ უოცნებიათ), მაშინ როცა შვედები 2000 წლიდან მოყოლებული უმედლოდ არ რჩებოდნენ.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, წინასამატჩო განლაგება ასეთი იყო და თავად თამაშმა ეს ვარაუდები სრულიად გაამართლა. ერთადერთი მოულოდნელობა რუსების რაღაც განსაკუთრებული განწყობა გახდა. სლავები ისე იბრძოდნენ, თითქოს ფინალური მატჩი იყო. პირველივე წუთებიდანვე გაასოგნეს მათ მეტოქე უმძლესი ტემპით და მე-4 წუთისთვის ორი შაიბის გატანაც მოახერხეს და ერთი ბულიტიც გააცუდეს (კოვალიოვმა ვერ ივარგა).

მართალია, მერე სკანდინავიელებმა გაამწვავეს ვითარება და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ მეორე პერიოდში რუსების მორიგ განრისხებას ველარ გაუძლეს. ოვეჩკინმა ჩინებული გარღვევის წყალობით ვეტერანმა იაშინმა ზუსტი დარტყმით, ხოლო სიომინმა დამატებაზე ანგარიში 6:2-მდე გაზარდეს და უკვე თამაშის შუაგულში ყველა კითხვა მოხსნეს, საჩუქრად კი ბრინჯაო ერგოთ, სხვათა შორის, პირველი მას შემდეგ, რაც სსრკ მსოფლიოს პირველობებზე რუსეთმა შეცვალა.

**ბომბარდირები:** ტორნტონი (კანადა) 16 (6+10); ნეში (კანადა) 15 (9+6); განიე (კანადა) 10 (3+7); დ. სედინი (შვედეთი), ჰანძუში (სლოვაკეთი) 9 (5+4); ალფრედსონი (შვედეთი) 9 (3+6); იაგრი (ჩეხეთი) 9 (2+7); ოვეჩკინი (რუსეთი) 8 (5+3); პროსპალი (ჩეხეთი) ვიშნოვსკი (სლოვაკეთი) 8 (2+6), ჰოსა (სლოვაკეთი) 7 (4+3); დაცაიუკი, კოვალიოვი (ორივე რუსეთი) ჰიტლი (კანადა), ჰედსტრიომი (შვედეთი) 7 (3+4).

**ჩემპიონატის MVP:** ჯო ტორნტონი (კანადა)

**საუკეთესო მოთამაშეები:** მეკარე — ტომაშ ვოკოუნი (ჩეხეთი) მცველი — უეიდ რედენი (კანადა); თავდამსხმელი — ალექსეი კოვალიოვი (რუსეთი).

**ჩემპიონატის ოლ სტარი:** ტომაშ ვოკოუნი (ჩეხეთი); მარეკ ჟიდლიცკი (ჩეხეთი) — ნიკლას კრონვალი (შვედეთი); რიკ ნეში (კანადა) — ჯო ტორნტონი (კანადა) იარომირ იაგრი (ჩეხეთი)

# ეშტორილის გალა



1



2



3



4



5

პორტუგალიის განთქმულ ადგილას, ეშტორილში დიდი გალა-ქეიფობა გაიმართა. ევროპის სპორტული ჯილდოების „ლაურუსის“ დაჯილდოების ცერემონიალს „ვოგის“ შოუც შეუხამეს და კარგი დროებაც გაატარეს. განთქმული და ცნობილი ხალხი ბევრი იყო. ძირითადად სპორტიდან, თუმცა მედიისთვის თანხმლებნი უცნობნიც კი დარჩნენ: კერძოდ, ლოთარ მათეუსისა (1) და ძველი ბრაზილიელი მეფორმულის, ემერსონ ფიტიპალდისა (6). ფორმულის თავკაც ბერნი ეკლსტოუნს ცოლი ახლდა (4), ხოლო ბრიტი მძლეოსანი კელი ჰოლმსი (3) და ლეგენდარული რუმინელი ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი (5) მარტონი იყვნენ. ასევე ვერ ამოიცნეს ამერიკელი მძლეოსნის მაიკლ ჯონსონის (7) თანხმლები გოგონა, ხოლო ბრიტი მოკრივე ამირ ხანი (2) მშობლებთან ერთად მოვიდა.

*AFP ეშტორილიდან*



6



7

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოიცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, თამარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელეტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლეკალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge